გაზეთი ბევრია, „ერი“ ერთი

ერი

ფასი 50 თეთრი

№8 (1034) 26 - 27 იანვარი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

შავი სათვალით

მე, ქართველი მინისტრი

„უცნობო და ბოროტო წერილის ავტორო, მინდა გითხრა, რომ ვაკეში ბინა ჩემი ბიძაშვილისთვის არ მიყიდია. ბიჭი დამიქორწინდა და საკუთარი ბინა ხომ უნდოდა? მეორე ბინა ჩემი სიდედრისაა და მანდ მე, აბა, რა მესაქმება? თუ იმას მეტყვით, ბიძაშვილის სახელზე რატომ გააფორმეო, გიპასუხებთ, რომ არც ამაშია რაიმე კანონდარღვევა. არ მსურს, გავაღიზიანო ერთი, ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი კაცი, რომელსაც ისედაც ბევრი საქმე აქვს და სცალია ახლა მას ჩემს ბინაზე სანერვიულოდ?“

გვ. 2

გაკუპონდება თუ არა ლარი

გვ. 6

ფინანსთა მინისტრი ადთასაა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — ბადთას ანუ როგორ დავიჭიროთ ლარი

თვითმარქვია „კანონიერი ქურდი“

გვ. 8

პატიმრის დღიური

როგორ გააცუცურაკა „ჯეფისტმა“ პატიმარმა ციხის ადმინისტრაცია

რუსეთში საქართველოს ელჩი ლალი მორროშკინა იქნება?

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

„ბიძინისტი ვარ!.. ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის ცნებაა!“

გვ. 4-5

„ჩვენს ხელისუფლებას დრო აღარ აქვს!“

ვისგან და რატომ ელის მანანა კობახიძე თავდასხმას

გვ. 3

„სახელმწიფომ კონკურენტული გარემო არ უნდა დაამახინჯოს“

სოლომონ პავლიაშვილი ხელისუფლებას სსიპ-ებისა და შპს-ების ოპტიმიზაციას ურჩევს

გვ. 7

ადამიანები ცოცხალ რობოტებად გადაიქცევიან

რატომ ვართ ურთიერთობების დეგრადაციის ხანაში და რა ფსიქიკურ ცვლილებებს იწვევს თანამედროვე პროგრესი

გვ. 9

მე, ქართველი მინისტრი

ლევან სეფისკვერაძე

მე საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი ვარ და ძალიან მტკენს გულს, როდესაც ვხედავ, ჩვენი მოქალაქეების ერთი (სამწუხაროდ, ზრდადი) ნაწილი არ აფასებს ჩვენს შრომასა და ყოველდღიურ რუტინას. ამათ რატომღაც ჰქონიათ, რომ მინისტრობა მხოლოდ მაღალი ხელფასების აღება, დიდი პრემიების გამოწერა და ძვირადღირებული ავტომობილებით ქალაქში ხვინტრიცია. არა, ბატონებო! თქვენ არ გესმით, რაოდენ რთულია ჩვენი საქმე და განა, ასეთ განწყობას ვიმსახურებთ თქვენგან?!...

გუშინ, მაგალითად, ჩემს კაბინეტში შესულიც არ ვიყავი, ვიღაც უცნობმა წერილი მომაჩეჩა, სადაც ეწერა, რომ გაზულუქებული უსაქმურები ვართ და ჩვენი ადგილი ჩვენს წინამორბედთა გვერდითაა გლდანის საპყრობილეში. გული არ გეტკინება კაცს? ასე უცებ შეიძლება დაივიწყოთ ის, რომ ჩვენ შევძელით და მოვაშორეთ ამ ქვეყანას წინა ხელისუფლება, რომელიც ხალხს ყვლეფდა და ბიუჯეტში ხელებს აფათურებდა. წერილში, ასევე, ეწერა, რომ მე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩემი ბიძაშვილის სახელზე, ვაკეში, ორი ბინა შევიძინე და არაფრით განსხვავდებოდი ჩემი პირსისხლიანი წინამორბედისაგან.

უცნობო და ბოროტო წერილის ავტორო, მინდა გითხრა, რომ ვაკეში ბინა ჩემი ბიძაშვილისთვის არ მიყიდია. ბიჭი დამიქორწინდა და საკუთარი ბინა ხომ უნდოდა? მეორე ბინა ჩემი სიდედრისაა და მანდ მე, აბა, რა მესაქმება? თუ იმას მეტყვით, ბიძაშვილის სახელზე რატომ გააფორმეო, გიპასუხებთ, რომ არც ამაშია რაიმე კანონდარღვევა. არ მსურს გავაღიზიანო ერთი ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი კაცი, რომელსაც ისედაც ბევრი საქმე აქვს და სცალია ახლა მას ჩემს ბინაზე სანერვიულოდ? თან, მით უმეტეს, ის ბინა ჩემი კი არა, ახლა ჩემი შვილისაა, რომელიც ბიძაშვილის სახელზეა გადაფორმებული. ხედავთ აქ რაიმე საეჭვოსა და უცნაურს? მაგრამ ბოროტი და ღვარძლიანი რომ იქნება ადამიანი...

ამას წინათ, ერთ-ერთმა გაზეთმა ჩვენი, მინისტრების რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც ირკვევა, რომ ხალხს მაინცდამაინც არ ვუყვარვართ. მე ეს გამოკითხვები სულ დაკვეთილი მგონია და კარგად იცით, ვის მიერაც იქნება დაკვეთილი. თუ ვინმეს ჩემს ავტორიტეტსა და რეიტინგში ეჭვი ეპარება, შეუძლია, მობრძანდეს სამინისტროში და ჰკითხოს ნებისმიერ თანამშრომელს ჩემს შესახებ. გარწმუნებთ, ერთ ადამიანსაც კი ვერ ნახავთ აუგის მთქმელს. პირიქით, ხანდახან გულსაც კი მიწყალებენ ხოლმე გადამეტებული ქებით და სამინისტროს თანამშრომლები ამ ქვეყნის მოქალაქეები არ არიან? ამას დაუმატეთ კიდევ სხვა სამინისტროები, დეპარტამენტები, საჯარო დაწესებულებები... ნახავთ კი იქ ჩვენზე აუგის მთქმელს? ეს ჟურნალისტები კი მაინც ისე ჭრიან და კერავენ, როგორც მოეპრიანებათ.

ჰო, ჟურნალისტები... თუ რამე სჭირს ამ ქვეყანას, პირველ რიგში, ჟურნალისტებისგან სჭირს, რომლებიც ფაქტებს ხომ ამახინჯებენ და ამახინჯებენ და, როგორც წესი, არასოდეს აშუქებენ ჩვენს გაკეთებულ კარგ საქმეებს. იძახიან, კარგ საქმეში სკანდალური არაფერია და ხალხს უაზროდ გაღიმებული საჯარო მოხელეების სიფათების ცქერას რეალური სამუშაო ადგილების შექმნა ურჩევნიაო.

ესაა დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება? იმ ბრძენ კაცს არაერთხელ უთქვამს და მეც, რა თქმა უნდა, ვეთანხმები, რომ ჩვენს ქვეყანაში ჟურნალისტიკა ყველაზე პრობლემური სფეროა და საქართველოს უბედურება ჟურნალისტებიდან იწყება. დანერენ რაღაც სისულელეებს და მერე მიდი და გაეცი პასუხი ათას ვირეშმაკულ კითხვებზე. არ გასცემ და იძახიან, მედიასთან არ თანამშრომლობს და ჩვენი გადასახადებით აგროვებული ფულით კი იღებს მსუყე ხელფასსო. ვერ შეაგნებინებ მაგათ. ბოროტი და ღვარძლიანი ხალხია. ჩემი ნება რომ იყოს, სულ ერთმანეთზე მივახურავდი გაზეთებსა და ტელევიზიებს, რომ ხალხმა, ბოლოს და ბოლოს, დაისვენოს ამდენი ტყუილისაგან, მაგრამ მერე ამ უცხოელებს გააჩერებ შენ? ატეხენ ერთ ამბავს, საქართველოში სიტყვის თავისუფლებას ებრძვიანო. სიტყვების თავისუფლება თორე ახლა ესენიც არ მყავდნენ, რა ჰქვია ამას... შარლიო თუ რაღაცა...

იმ დროზე ვოცნებობ, როცა საქართველოში ადამიანები ქუჩაში ბედნიერი სახეებით ივლიან, ღვარძლიანი წერილების წერა შეწყდება და ჩვენც წყნარად მოგვეცემა საქმის კეთების საშუალება, მაგრამ ამ ხალხს ყველაფერი ახლა უნდა. ეგრე სადაა?..

ილია მეორე: „ლოცვა, მარხვა და მოწყალება სამი დიდი საუნჯეა“

როგორც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, სწორედ სამი რამ — ლოცვა, მარხვა და მოწყალების გაღება დაეხმარება ადამიანს მის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაში.

„მრავალი განსაცდელი აქვს ადამიანს, მაგრამ ეს განსაცდელი ხშირად მოჩვენებითია. ხშირად ისეთია, რომელიც შეიძლება დაძლეულ იყოს და დაძლეულ იყოს არა ჩვენი საქმით, არამედ ლოცვით, მარხვით, მოწყალებით. ყველაზე ძლიერი საშუალება, ყველაზე ძლიერი იარაღი ბოროტების წინააღმდეგ არის ლოცვა, მარხვა და მოწყალების გაცემა. ამიტომ ყოველი ჩვენგანი უნდა ფიქრობდეს უკანასკნელ დღეზე, უნდა ფიქრობდეს იმაზე, თუ რა უნდა წაიღოს ამ ქვეყნიდან. შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს მთელი ქვეყნის სიმდიდრე, მაგრამ ეს ყველაფერი ამაო შეიძლება იყოს მისთვის. ამიტომ ეს სამი რამ — ლოცვა, მარხვა და მოწყალება უნდა იყოს ჩვენი თანამგზავრი. ეს არის სამი დიდი საუნჯე, რომელიც შეეწევა ადამიანს ამქვეყნადაც და მომავალ ცხოვრებაშიც მისი შემწე და დამხმარე იქნება“, — ბრძანა პატრიარქმა.

„ინტერპრესნიუსი“

„სითი პარკს“ არასწორად პარკირებული მანქანების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის უფლება ეზღუდება

„სითი პარკს“ არასწორად პარკირებული ავტომობილების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისას, შესაძლოა, „112“-სთვის შეტყობინების ვალდებულება დაეკისროს. გარდა ამისა, კომპანიას მანქანის სადგომზე გადაყვანის უფლება, შესაძლოა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცეს, თუკი დამრღვევი მძღოლი სატრანსპორტო საშუალებაში არ იმყოფება, ხოლო სატრანსპორტო საშუალება აფერხებს მოძრაობას, ქმნის საავარიო ვითარებას ან საცობს.

ამას „ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივით პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

კანონის მოქმედი რედაქციით, ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“, „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობის და დგომა-გაჩერების წესების დარღვევისას მძღოლის დაჯარიმების გარდა, დასაშვებია მიტოვებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა ან თვლების ბლოკირება. კანონში დაგეგმილი ცვლილებებით კი, სატრანსპორტო საშუალება სპეციალურ სადგომზე გადაყვანას იმ შემთხვევაში დაექვემდებარება, თუკი მძღოლი ადგილზე არ იმყოფება, ხოლო სატრანსპორტო საშუალება მოძრაობას აფერხებს და საავარიო ვითარებას ან საცობს ქმნის. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების გადაყვანის შესახებ „112“-ის სამსახურს უნდა ეცნობოს.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, თუ ავტომანქანა, რომლის მფლობელიც მასში არ იმყოფება, არ აფერხებს მოძრაობას, არ ქმნის საცობსა და საავარიო სიტუაციას, სპეციალურ ავტოსადგომზე არ უნდა იქნეს გადაყვანილი, რადგან ასეთი გადაყვანით საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა ხდება.

„სითი პარკს“ ავტომობილები სპეციალურ ავტოსადგომზე ფარულად გადაჰყავს, რითაც მოქალაქეებს მორალური და მატერიალური ზიანი ადგებათ. 2007 წლიდან „სითი პარკის“ მხრიდან მოქალაქეთა ავტომობილებზე ყაჩაღური ნადირობა მიმდინარეობს. გარდა მორალური და მატერიალური ზიანისა, ავტომობილების სპეციალურ ავტოსადგომზე გადაყვანა უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე ხორციელდება, რის შედეგადაც ხშირია ავტომობილების დაზიანების შემთხვევები. ავტოსადგომზე გადაყვანილი ავტომობილების მფლობელთა მიერ კომპანია „სითი პარკის“ წინააღმდეგ სასამართლოში შესული სარჩელებიდან ყველა დაკმაყოფილდა. სასამართლომ კომპანია „სითი პარკის“ მიმართ გამამტყუნებელი გადაწყვეტილება იმ მიზეზით გამოიტანა, რომ „სითი პარკს“ სამართალდამრღვევი არასწორი პარკირებისთვის უნდა დაეჯარიმებინა და მისი ავტომობილი ევაკუატორით დაცულ ავტოსადგომზე არ უნდა გადაეყვანა“, — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

„ინტერპრესნიუსი“

ჯოზეფ ბაიდენი უკრაინას რუსეთზე საერთაშორისო ზეწოლის გაძლიერებას დაჰპირდა

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, სატელეფონო საუბარში, დაჰპირდა, რომ შეეცდება, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო რუსეთზე საერთაშორისო ზეწოლას მიაღწიოს. ამის შესახებ უკრაინული მედია თეთრი სახლის პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება.

„ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა და უკრაინის პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ რუსეთი პატივს არ სცემს საკუთარ ვალდებულებებს, რომელიც იკისრა სექტემბერში, მინსკის შეთანხმებით და შეთანხმდნენ, გააგრძელონ მუშაობა საერთაშორისო პარტნიორებთან იმისთვის, რომ რუსეთმა თავისი აგრესიული ქმედებებისთვის ძვირი ფასი გადაიხადოს“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

„ინტერპრესნიუსი“

ისლამისტებმა იაპონელი მძევალი მოკლეს

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა ერთ-ერთი იაპონელი მძევალი სიკვდილით დასაჯეს. გვიან ღამით ჯიჰადისტებმა ინტერნეტში შემზარავი ვიდეომასალა გამოაქვეყნეს.

ერთ-ერთ მძევალს, კენძო გოტოს ხელში თავისი მოკლული თანამემამულის, ხარუნ იუკავას ფოტო უჭირავს. ვიდეოს იდენტურობა ოფიციალურმა ტოკიომ უკვე დაადასტურა.

იაპონიის ორი მოქალაქე ჯიჰადისტებმა გასულ კვირას დაატყვევეს და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 200 მილიონ დოლარს ითხოვდნენ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ევროკავშირის მაღალჩინოსანი რუსეთს ემუქრება

აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის ესკალაცია ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობას უფრო დაძაბავს. ამის შესახებ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა განაცხადა. ფედერიკა მოგერინიმ დაადასტურა, რომ მარიუპოლის დასახლებული რაიონი პრორუსმა სეპარატისტებმა დაბომბეს.

„კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრაგიკული შედეგებით სრულდება, რაც დაუშვებელია. შექმნილი მდგომარეობა რუსეთ-ევროკავშირის ისედაც დაძაბულ ურთიერთობას უფრო გაამწვავებს““ — აღნიშნა მოგერინიმ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„ჩვენს ხელისუფლებას დრო აღარ აქვს!“

ვისგან და რაზომ ელის მანანა კობახიძე თავდასხმას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ზურაბ და იური ვაზაგაშვილების საქმეს შს მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის გადადგომა მოჰყვა. ჭიკაიძემ საკუთარ განცხადებაში განმარტა, უწყებისადმი გაჩენილი ეჭვების გამო წავედიო. ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მოიწონა, ოპოზიციამ — არა, ერთი კაცის გადადგომა არასაკმარისიაო და პრემიერის გადადგომასაც ითხოვს. ამ თემებზე „ვერსია“ ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს ესაუბრა, რომელიც კოალიციაში არსებულ პოლიტიკურ პრობლემებს ადასტურებს, ნინო ბურჯანაძის პარტიასთან ალიანსს კი კატეგორიულად გამორიცხავს.

— ქალბატონო მანანა, ამას წინათ, „თავისუფალმა დემოკრატმა“ გიორგი ცაგარეიშვილმა კითხვა დასვა, გვიპასუხოს ხელისუფლებამ, რატომ იძიებდა ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეს ბოლო თვეებამდე შს სამინისტრო და არა პროკურატურაო. ჭიკაიძის გადადგომა ამ კითხვაზე ადეკვატური პასუხია?

— შს მინისტრმა ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო და ამ ნაბიჯს დადებითად ვაფასებ! როგორც კი მის უწყებაზე ითქვა, იქ მყოფი ხალხი, შესაძლოა, ხელს უშლიდეს გამოძიებას, რადგან დამნაშავის დასჯა მის ინტერესებში არ შედისო, ჭიკაიძემ მაშინვე დისტანცირება გადაწყვიტა. ეს ექსმინისტრის პასუხისმგებლობის გრძნობაზე მიუთითებს, რაც მიზანშეწონილი და დასაფასებელია. გამოძიებასთან საზოგადოებას და, პირველ რიგში, დაზარალებულს კითხვები არ უნდა ჰქონდეს, რაც ხელს გამოძიების მიმართ ნდობის აღდგენას შეუწყობს, თუმცა ვიცი, ვაზაგაშვილების ოჯახი პროკურატურას ენდობა.

რაც შეეხება ბატონი ცაგარეიშვილის კითხვას, კანონით, რაიმე დათქმა არ არსებობს, რომ ყველა საქმე აუცილებლად პროკურატურამ უნდა გამოიძიოს, თუმცა, როცა შს სამინისტროს რომელიმე, ამ შემთხვევაში, ვაზაგაშვილის საქმის პირდაპირი ინტერესი აქვს, ცხადია, ეს საქმე მან კი არა, სხვა უწყებამ უნდა გამოიძიოს. შსს-ს საქმე რაც უნდა ობიექტურად გამოეძიებინა, კითხვის ნიშანი მაინც დარჩებოდა. არც ერთი ჩინოვნიკის სკამი იმად არ ღირს, ასეთი საზარელი დანაშაული გამოუძიებელი დარჩეს — ხელი არავის უნდა დაეფაროს, თორემ გამოდის, თუ ხელს დამნაშავეებს აფარებს, ეს ხელისუფლებაც, წინას მსგავსად, კრიმინალია და ეს მხოლოდ მორალური კი არა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიცაა.

— დისტანცირება კითხვებზე პასუხის გაცემას არ ნიშნავს. ისე, ითქვა, პოსტს პრემიერიც დატოვებს. ამაზე გუნდშიც საუბრობთ?

— ეს ჭორია. ასეთი რამ დღის წესრიგშიც არ დამდგარა. დროულად ისაა გასარკვევი, ვინ იქნება ახალი შს მინისტრი.

— არ იცით, ვინ იქნება?

— არა. ფაქტია, ისეთი კადრი უნდა იყოს, ვის მიმართაც ხალხს ერთი კითხვაც არ ექნება. გარდა ამისა, იგი ძლიერი პიროვნება უნდა იყოს და სისტემაში არსებული ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა და თუ საჭიროა, კადრების შეცვლაც შეძლოს. ამ უწყებიდან ის ხალხი უნდა მოშორდეს, ვისაც ნაციონალებთან რაიმე კავშირი აქვს.

— იური ვაზაგაშვილის საქმის გამოძიების გონივრული ვადა თუ არსებობს?

— ექსპერტიზასა და მოწმეთა დაკითხვას დრო სჭირდება. ვადას ასე ვერ დავასახელებ, მაგრამ ეს უახლოესი თვეები უნდა იყოს. მოდი, პირდაპირ გეტყვით — ჩვენს ხელისუფლებას დრო აღარ აქვს! მიუხედავად იმისა, რომ ეს დანაშაული რამდენიმე დღის წინ მოხდა, დრო არ იცდის. ვფიქრობ, საქმე მართლაც ტერორისტულ აქტთან გვაქვს, რადგან ასეთი სამხედრო ყუმბარა ჩვეულებრივი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი არაა. ეს დანაშაული პერსონალურად იური ვაზაგაშვილის კი არა, ხელისუფლების წინააღმდეგაც იყო მიმართული — მისი სისუსტის საჩვენებლად, ხალხში შიშისა და დაუცველობის დასანერგად, მოწმეების დასაშინებლად და დესტაბილიზაციის ფონის შესაქმნელად.

— ამაზე ყველა საუბრობს, მაგრამ კარტს არავინ ხსნის — ვის აქვს ეს მიზნები, ნაციონალებს?

— ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა და ნამდვილად არ ვაპირებ, ასე ხელაღებით ვინმეს რამე დავაბრალო. თუ ხელისუფლების წინააღმდეგ რამე ხდება, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ნაციონალურ მოძრაობას აწყობს. თუმცა ხომ ხედავთ, „თუ“-ებით ვლაპარაკობ, რადგან ეს ჩემი კი არა, პროკურატურის დასადგენია. ამ საქმეების გამოძიება მართლაც, ჩვენი ღირსების საკითხია. სამწუხაროდ, ხელისუფლების შეცვლიდან 2 წლის მერეც, იური ვაზაგაშვილი დამნაშავეების დაუსჯელობას აპროტესტებდა და კონკრეტულ გვარებს ასახელებდა. ამის გამო მორალურ პასუხისმგებლობას მეც ვგრძნობ.

— თუ გრძნობთ, მაშინ რატომ ამბობს პარლამენტი უარს უმრავლესობის სამი დეპუტატის შეთავაზებაზე, რომ დახურულ ფორმატში მთავარ პროკურორსა და შსს-ს მაღალჩინოსნებს მოუსმინოთ?

— ეს პრაქტიკა ჩვენთვის უცხო არაა, მსგავსი სხდომები და მოსმენები გვქონია და მთავარი პროკურორის მოადგილეც მოგვიწვევია. არ მიკვირს, დეპუტატებს ასეთი აზრი რომ გაუჩნდათ. მიუხედავად იმისა, რომ მთავარ პროკურორს, კანონით, პარლამენტი არ ნიშნავს და არც ჩვენს წინაშეა ანგარიშვალდებული, დავით უსუფაშვილმა მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე პარლამენტში უკვე მოიწვია და ამ საქმის დეტალებზე ესაუბრა. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი ამ პროცესში უკვე ჩართულია. ამ ეტაპზე გამოძიება ინტენსიურად მუშაობს და როცა რაღაც დასკვნამდე მივა, ერთ ვერსიაზე შეთანხმდება, დეტალებს ჩვენც გაგვიზიარებს, ამიტომაც არ მგონია, ამის საჭიროება დღეს და ხვალ იდგეს. თუ მათ მხოლოდ იმიტომ ვეძახით, რომ შეკრებას დახურული სხდომა დავარქვათ და თავი გავიპიაროთ, ეს არასწორად მიმაჩნია. თორემ ნაციონალები ორ წუთში ხსნიდნენ საქმეებს. ზოგს ტერაქტი დააბრალეს, ზოგს — ჯაშუშობა, მერე ეს ხალხი გააუპატიურეს და ყველაფერი აღიარებინეს. ასეთი მართლმსაჯულება და ოპერატიულობა არავის სჭირდება!

— ცოტა პარლამენტში მიმდინარე ამბებზეც ვისაუბროთ — ვის და რატომ სურს კოალიციიდან რესპუბლიკელების გაშვება და მათ ჩანაცვლებას ბურჯანაძის პარტიით მართლა აპირებთ?

— ჩვენსა და რესპუბლიკელებს შორის დიდი განსხვავებაა — ახლახან, იურიდიულ კომიტეტზე, მხარი ჩვენს კიდევ ერთ კანონპროექტს არ დაუჭირეს. მგონი, ასეთი რამ კიდევ ბევრჯერ იქნება და ამას უკვე მივეჩვიეთ, როგორც ჩანს, ნამდვილი საპარლამენტო ცხოვრება ესაა. ყველაფრის მიუხედავად, სურვილი არ გვაქვს, კოალიცია დაიშალოს.

— ჰოდა, იმის გამო, რომ თქვენნაირად არ ფიქრობენ, რესპუბლიკელების „დასჯას“ აპირებთ?

— ჩვენ არავის ვსჯით, დამსჯელი ძალა არ ვართ. გვინდა, ქვეყანაში პროცესები დემოკრატიულად განვითარდეს და კოალიციის შიგნითაც იგივეს ვცდილობთ, თუმცა დაპირისპირება იქნება თუ განსხვავებული აზრი, სჯობს, კოალიციის შიგნით, პოლიტსაბჭოზე იხარშებოდეს და არა — პრესის წინაშე, საჯარო სივრცეში. სწორედ ეს იწვევს ხალხის წუხილს — არიქა, იშლებიან, განხეთქილებაა და ა.შ. რესპუბლიკელებს ეს ვინ, სად და რატომ უთხრა, არ ვიცი, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ „ოცნება“ არავის ემუქრება. ბიძინა ივანიშვილს ერთპარტიულობა რომ ნდომებოდა, ერთ დიდ პარტიას გააკეთებდა და ყველას თავს იქ მოუყრიდა. ისიც ვიცი, ამ 2 წლის განმავლობაში, პარტია „ოცნების“ განვითარებაზე ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ვიფიქრეთ, ახლა კი ბევრია საუშაო და ეს ხარვეზებიც აღმოსაფხვრელია.

— ქალბატონო მანანა, კონკრეტულად მიპასუხეთ: „ოცნება“ ბურჯანაძის პარტიის ფილიალი ხდება? სხვათა შორის, ბურჯანაძის ექსთანაპარტიელის შვილი ირაკლი კობახიძე „ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად ინიშნება, სოფრომაძე ჯანდაცვაშია, აფხაზეთის უზენაეს საბჭოში ყოლბაიაა. რატომ დაკომპლექტეთ მთელი ხელისუფლება ბურჯანაძის კადრებით?

— პირდაპირ გეტყვით: კოალიციაში ბურჯანაძის შემოსვლა გამორიცხულია! რაც შეეხება კადრებს, ზაზა სოფრომაძე ჯანდაცვაში გამოცდილი კადრია და დიდი ხანია, ბურჯანაძის პარტიასთან კავშირი აღარ აქვს. ბატონი ყოლბაია უზენაეს საბჭოში ჩვენ არ აგვირჩევია. ირაკლი კობახიძე კი პოლიტიკასთან შეხებაში არც ყოფილა. პოლიტიკური კარიერა „ოცნებაში“, 2 წლის წინ დაიწყო. მამამისმა კი, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, ბურჯანაძის პარტია უკვე დატოვა, თან ახლა 37 წელი არაა, რომ შვილი მამის ქმედების გამო დავსაჯოთ. ბურჯანაძის პარტიისგან საგარეო კურსზე რადიკალურად განსხვავებული ხედვები გვაქვს — ევროინტეგრაციის გზაზე ჩვენ ძალიან მყარად ვდგავართ!

— კიდევ ერთი საკითხი: პრეზიდენტ მარგველაშვილთან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმებას მიაღწევთ? დავით საგანელიძისა და მარგველაშვილის შეხვედრის თარიღი გაირკვა?

— კონსულტაციას არაფორმალური სახე უნდა ჰქონდეს. ეს გაწერილი პროცედურა არაა, სამუშაო პროცესია. რაკი პრეზიდენტმა დაიწყო კამპანია, რომ ყველას ხვდება და ამ კანდიდატურას უთანხმებს, მათ შორის ნაციონალებსა და თავისუფალ დემოკრატებს, ჩვენი გუნდიდან ჩვენც ერთი დეპუტატი, დავით საგანელიძე შევარჩიეთ, რომელიც პრეზიდენტთან სწორედ იმის გასარკვევად მიდის, მას როგორ წარმოუდგენია კონსულტაციის პროცესი. თარიღი ჯერ ცნობილი არაა... ისე, ჩვენი მხრიდან გვარებს არავინ დაასახელებს — ამაზე კოალიციაში არც კი გვიმსჯელია. პრეზიდენტმა თავად უნდა დაასახელოს 3-4 კანდიდატი და მათზე ჩვენი მოსაზრება მოისმინოს. უმრავლესობაში ერთი კანდიდატურაც არ განიხილება და კიდევ უფრო დიდი ჭორი ისაა, ჩამონათვალში რამდენიმე დეპუტატის გვარმაც რომ გაიჟღერა. ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება, საკითხის სესიაზე დაყენებამდე ძალიან მნიშვნელოვანია, რათა პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატურა პირველივე ჯერზე არ ჩავაგდოთ!

— გასაგებია, რომ ამდენი წელია, საქმეების გამოძიებას ველით და პროკურატურას გაგებით ვეკიდებით, მაგრამ იპოთეკით დაზარალებული ადამიანები აქციას აქციაზე ატარებენ — ბანკები და კერძო მევახშეები ქუჩაში ყრიან. პარლამენტს კანონის მიღება და ამ ხალხის პრობლემის მოგვარება რა გაუხდა?

— ყველაზე რთულ თემას შეეხეთ და ვიცი, ჩემი განცხადებების გამო, თავდასხმის ობიექტი გავხდები, მაგრამ, როცა საქმე კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზეა ლაპარაკი, იქ სახელმწიფო ვერ ჩაერევა. ამ საქმეში ორი მხარეა — კრედიტორი და მოვალე და ორივეს თავისი არგუმენტი აქვს. ჩვენ ის შევცვალეთ, რომ კაბალური ხელშეკრულებები აღარ დაიდება, საბუთის გაფორმებაში ნოტარიუსი ჩაერთვება და ხალხი უფრო გააზრებულ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ადრე დადებულ გარიგებებზე ამ კანონს უკუძალა არ აქვს. ასე რომ იყოს, გამოვა, რომ ამ ხალხის ვალი ბიუჯეტიდან უნდა გავისტუმროთ, რისი საშუალებაც არ გვაქვს. ვიღაცებმა, ალბათ, იფიქრეს, ბიძინა ივანიშვილი მათ ვალებს პირადი სახსრებით გადაიხდიდა, მაგრამ ეს არასად უთქვამს. ისიც მესმის, ამ განცხადების გამო შეიძლება, ეს ადამიანები თავს დამესხან, მაგრამ ეს არასწორი მოლოდინია. სახელმწიფოს, ამ ვითარებაში, მხოლოდ ის შეუძლია, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს ბინა დაუქირავოს, თუმცა ამასაც ყველასთვის ვერ გავაკეთებთ. რაც უნდა არაპოპულარულ რამეს ვამბობდე, ამ ადამიანებს სხვანაირად ვერ დავეხმარებით!

ვერსიანიუსი

საქართველოს საგარეო უწყება უკიდურესად შეშფოთებულია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან უკრაინის ქალაქ მარიუპოლის სამოქალაქო დასახლებების დაბომბვასთან დაკავშირებით, რასაც უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა.

მარიუპოლის სამოქალაქო დასახლებებზე განხორციელებულ თავდასხმას უწყება სპეციალური განცხადებით ეხმაურება.

„განსაკუთრებით საგანგაშოა ბოლო პერიოდში უკრაინის ქალაქებში — დონეცკში, ვოლნოვახასა და მარიუპოლში განხორციელებული თავდასხმების შედეგად მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის განუხრელი ზრდა, რაც აღმოსავლეთ უკრაინაში ისედაც არსებულ, უკიდურესად მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს. მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო დასახლებების წინააღმდეგ გამანადგურებელი შეიარაღების მიზანმიმართული გამოყენება საერთაშორისო საზოგადოების დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს და თითოეული შემთხვევა სასწრაფოდ უნდა იქნას გამოძიებული. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს, უთანაგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს და იზიარებს მათ მწუხარებას“, — ნათქვამია განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

ბარაკ ობამა საუდის არაბეთს ეწვევა

აშშ-ს ლიდერი ინდოეთში სამდღიან ვიზიტს შეწყვეტს და სამშაბათს საუდის არაბეთში ჩავა, სადაც ქვეყნის ახალ მეფე სალმანს შეხვდება.

79 წლის სალმანმა მეფის ტახტზე რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი მეფე აბდულა შეცვალა. ელ რიადში გამართულ აბდულას დაკრძალვას აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი დაესწრო.

საუდის არაბეთის ახალი მეფის, სალმანის განცხადებით, წინამორბედის პოლიტიკურ კურსს შეინარჩუნებს.

„ინტერპრესნიუსი“

რუსეთში საქართველოს ელჩი ლალი მოროშკინა იქნება?

ივანო პავლიშვილი

...პარიზიდან ჩამოსულს ცუდი ამბავი დახვდა — იური ვაზაგაშვილი მოკლეს. მეუბნება: „იურა ჩემი მეგობარი იყო, 2014 წლის ივლისში, ერთად პრესკონფერენცია გავმართეთ და მაშინ თქვა, თუ ჩემი შვილის მკვლელებს არ დასჯიან, შემდეგი მე ვიქნებიო...“ პოლიტიკაში ჩართვას აღარ აპირებს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი დათმობებზე წავა და ჩვენთან დიპლომატიურ ურთიერთობას აღადგენს, მზადაა, რუსეში საქართველოს ელჩად წავიდეს. ისე, ეს საქმე გამოუვა: გარდა იმისა, რომ ეთნიკურად რუსია, ამ სფეროში მუშაობის გამოცდილებაც აქვს — თავის დროზე კონფლიქტების მინისტრის მოადგილე იყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა, თურმე, მინისტრობაც შესთავაზა, მაგრამ უარი სტკიცა — დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მისეული ხედვა-იდეა არ მოეწონა... რაღა ბევრი გავაგრძელო და, თქვენს წინაშეა არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ თითქოს ძალიან ნაცნობ და ახლობელ, სინამდვილეში კი ამოუცნობ ლალი მოროშკინასთან. სიცოცხლე — მისი კრედოა. ლალი მიიჩნევს, რომ ადამიანი მაშინ ბერდება, როცა დაბერებას გადაწყვეტს...

„ბიძინისტი ვარ!.. ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის ცნებაა!“

— ლალი, აბა, მითხარი, პარიზში რა გინდოდა?

— თითქმის მთელი ჩემი ოჯახი საფრანგეთსა და შვეიცარიაშია გადანაწილებული — ჩემი ორივე და — ნინო და სოფო. სოფო იუნესკო-ში მუშაობს, ნინოც, მეტი წილი, შვეიცარიაშია

— ნინო და სოფო შენი როგორი დები არიან?

— მამაჩემის მეორე ქორწინებიდან. ცნება „ნახევრადდა“ ან „ძმა“ ჩემთვის მიუღებელია, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს... დედაჩემი სოჭიდანაა, თუმცა ჩვენი ნათესაობის დიდი ნაწილი იქ არ გაჩერდა და პარიზში გადაბარგდა. საერთოდ, ჩვენი ძალიან ბევრი ნათესავი, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა, ბოლო წლებში, მიზეზთა გამო, ევროპაში აღმოჩნდა. მათ სანახავად ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც ჩავდივარ... ევროპაში გასეირნება დიდი სიამოვნებაა...

— ევროპაში გადასახლება, მგონი, შენც გინდოდა — რამდენიმე თვის წინ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებდი...

— ეს საკითხი დღის წესრიგიდან მაშინვე მოიხსნა...

— რატომ?

— სტრასბურგში ვიყავი, როცა შემომითვალეს, გაიმარჯვე და ყველაფერი დალაგდებაო...

— ვინ შემოგითვალა?

— კონკრეტულ სახელებსა და გვარებს არ ვიტყვი...

— მე ვიტყვი — ბიძინა ივანიშვილი...

— ბატონ ბიძინას, სამწუხაროდ, არ ვიცნობ და სიამოვნებით გავიცნობ... როგორც ჩანს, ამ ამბავში მაღალ დონეზე ჩაერივნენ და ის ადამიანები, რომლებზეც „ზონდერული“ წარსულის ფაქტები დავდე, სასჯელაღსრულების სისტემაში აღარ მუშაობენ.

— ერთ-ერთი პირველი იყავი, ვინც „ოცნების“ ცალკეულ ხელისუფალთა კორუფციაში მხილება დაიწყე, რასაც ვიღაცების უკმაყოფილება მოჰყვა, მორიშკინამ ამ თემებზე ხმამაღლა კი არ უნდა ილაპარაკოს, არამედ, როგორც გუნდის წევრმა, პრობლემები შიგნითვე უნდა მოაგვაროსო. ამ ხმაურით ვიღაცებზე შური იძიე?

— 9 წელი, მხოლოდ აზრობრივად კი არა, ფიზიკურადაც ვიბრძოდი — 300 ათასი ადამიანის მსგავსად, „მოდული“-ს მიწისქვეშეთი მეც გამოვიარე.

— თავის დროზე, ისიც ითქვა, რომ ციხეშიც მიზანმიმართულად წახვედი...

— მგონი, მხოლოდ უჭკუო ადამიანს შეუძლია, თავს ციხე „გაუჩალიჩოს“, რადგან არავინ იცის, იქიდან როგორი გამოვა. ნათია გედენიძეს „მოდულ“-ში ყოფნა 24 საათი მოუწია და დღემდე სტრესიდან გამოდის, მე კი იქ 15 დღე გავატარე და საკნის კარის ყოველ გაღებაზე არსებობდა საშიშროება, რომ ყველაფერს სისხლის სამართლის საქმეში გადაზრდიდნენ და 15 წელს მომისჯიდნენ. ადამიანი ამაზე რომ წახვიდე, მგონი, ცოტა უნდა გაკლდეს...

— ლალი, ხომ იცი, კარგად გიცნობ და ისიც ვიცი, ავანტიურისტი ხარ...

— პიარტექნოლიგი ვარ და პიარისთვის, შეიძლება, რაღაც გავაკეთო, მაგრამ ახალი წლის წინა დღეებში ასეთ რაღაცაზე არასოდეს წავალ, მით უმეტეს, შვილები მყავს... მოკლედ, მძიმე ბრძოლა გამოვიარე და ამტანიანობაც გამოვიმუშავე. საერთოდ, გისოსებიდან ორნაირი ადამიანი გამოდის — ან დაკნინებული და დაჩოქილია, ან სახურავწაცლილი.

— სახურავწაცლილი რას ნიშნავს?

— არც მანამდე მეშინოდა, მაგრამ გისოსების მერე შიშის გრძნობა საერთოდ დავკარგე — ყველაფერ ამის მერე ფიზიკური გარდაცვალება მოდის, რასაც, როგორც თალეს შონიას გაზრდილი, ძალიან ფილოსოფიურად ვუყურებ. რეინკარნაციისა და პარალელური სამყაროს არსებობისაც მჯერა...

მოკლედ, სად-ში მხოლოდ ელიტური კორუფცია ანუ ფულის პრემიებით გათეთრება კი არ გრძელდებოდა, არამედ, უშუალოდ, ამოვიცანი ადამიანი, რომელმაც 2009 წლის 15 ივნისს, დიღომში, პოლიციის სამმართველოსთან, მიტინგზე ხელკეტი მომიღერა. ვერ ვიტყვი, ციხე ბოლომდე დავალაგეთ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი წინ ნამდვილად გადავდგით და მივხვდი, ეს ადამიანები ისევ რაღაც წარსულში დააბრუნებენ ციხეებს, ამიტომ, ვიდრე ამბავს გარეთ გამოვიტანდი, გამაფრთხილებელი საუბარი ჯერ უშუალო ხელმძღვანელობასთან მქონდა, მერე უფრო ზევითაც...

— პირდაპირ ივანიშვილზე რატომ არ „გახვედი“?

— ბატონ ბიძინას დავით აქუბარდიას ეთერიდან მივმართე და ვუთხარი, ადამიანი, რომელმაც ქონება დაგიზიანათ, ალბათ, ციხეში გგონიათ, მაგრამ სასჯელაღსრულებაში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია-მეთქი. ვიცი, ბატონმა ბიძინამ მაშინვე სოზარ სუბარს დაურეკა და ჰკითხა, ეს მართალიაო? სუბარმა უპასუხა, დიახ, ნამდვილად ასეაო.

— ესე იგი, სუბარი ივანიშვილს ღალატობდა?

— არა. უბრალოდ, მინისტრი დეპარტამენტის კადრებს არ ნიშნავდა და იქ აბსოლუტური განუკითხაობა იყო...

— ისე, შენზეა ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო — სასჯელაღსრულების მერე მშვენიერი სამსახური იშოვე, ბევრი საქმე გაქვს?

— კი, ძალიან ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ ნამდვილად უკეთეს პირობებში ვმუშაობ...

სხვათა შორის, სწორედ მაშინ, როცა სტრასბურგში ვიყავი, ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ამბობდა, რაც სასჯელაღსრულების სისტემაში მოხდა, შოკში ჩამაგდოო. მივხვდი, სიმართლე ამ ადამიანის ყურამდე მივიდა და მხარდაჭერა მქონდა. მოგვიანებით, ბატონმა ბიძინამ იგივე კიდევ ერთ ინტერვიუში გაიმეორა.

— ერთი სიტყვით, ივანიშვილის „ლუბიმიცა“ გამოდიხარ...

— ბატონი ბიძინა ერთხელ, აქუბარდიას დაბადების დღეზე ვნახე...

— უი, „აქუსთან“ ასე ახლოსაა, დაბდღეზეც იყო?

— „კავკასიის“ დაბადების დღეზე მოვიდა და მხოლოდ ხელი ჩამოვართვი, არასოდეს დამიმალავს, დიდი სიმპათიით ვარ გამსჭვალული მის მიმართ. ის ძალიან ნიჭიერი და ძლიერი ადამიანია.

— ბიძინისტი ხარ?

— დიახ, ვარ! არასოდეს არავისტი ვყოფილვარ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის მხოლოდ სახელი და გვარი არაა, ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის ცნებაა! ვანო, კარგად მიცნობ და იცი, აქამდე მსგავსი არავისზე მითქვამს. ამ ადამიანმა კი ბევრი შეძლო, თუმცა გამიკრიტიკებია კიდეც... მაშინ, როცა ყველა მიდიოდა, შემეძლო, მეც მივსულიყავი და გამეცნო, მაგრამ ვთვლიდი, ჩვენი ურთიერთობის დრო ჯერ არ იყო. საერთოდ, მის ფილოსოფიას კარგად ვხვდები — მეც იგივე წიგნებს ვკითხულობ...

— მაშასადამე, ნიცშე არც შენ მოგწონს?

— არ უთქვამს, რომ ნიცშე არ მოსწონს...

— ასე გამოუვიდა — ადამიანზე წიგნის დაწერას აპირებს...

— მერე, რა?! საინტერესოა... ვანო, გახსოვს, ერთხელ, პლანეტა მოროშკინა მიწოდე...

— ამას რა დამავიწყებს, მაგრამ ახლა პრემიერყოფილს ეპირფერები?

— არა! ხომ იცი, პირფერობა არავისთან და არაფერში მჭირდება. ჩემთვის ყველაზე დიდი განსაცდელი ის იქნება, თუ პოლიტიკაში დამაბრუნებენ.

— ბოლოს და ბოლოს, ახლა სად მოღვაწეობ?

— ბიზნესში...

— „ბიზნესვუმენი“ ხარ?

— „რაკია ჯგუფის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი ვარ, „თბილისი მოლის“ განვითარებაზე ვმუშაობ, ამ სფეროში ისე ვარ, როგორც — თევზი წყალში: აღმოჩნდა, რომ ბიზნესი ჩემია და მომწონს...

— ბედი ბიზნესში რამდენიმე წლის წინაც სცადე — ბეწვეულის მაღაზია გახსენი...

— ფანტასტიურადაც მუშაობდა.

— აბა, რატომღა დახურე?

— იმიტომ დავხურე, რომ თურმე, ცხოველებს ვხოცავ. არადა, შინ ორი ცხოველი მყავს — შვილებს არ ვგულისხმობ. ისე, პიარტექნოლოგიურად, ყველაფერი კარგად მიდიოდა და მოგებაც ვნახეთ. მოკლედ, ვაჭრობა გამომდის...

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ის იმპრესიონისტია — იმპრესიონიზმი იმწუთიერი შთაბეჭდილებაა...

— ლალი, ვიცი, იმპრესიონიზმი რაცაა, მაგრამ ყურადღებას ამაზე რატომ ამახვილებ?

— ჩვენს ხასიათში ძალიან ბევრი საერთოა — აფეთქება, იმწუთიერი გადაწყვეტილების მიღება...

— ყველაფერზე ნახ-ნახევრად ვლაპარაკობთ. ჰოდა, მოდი, ცოტა „დავლაგდეთ“... მეგობრები კი ვართ, მაგრამ ერთმანეთს იშვიათად ვხვდებით და მეჩვენება, ყველა შეხვედრაზე ახალ ლალი მოროშკინას ვიცნობ...

— ვიზრდები...

— აი, მაგალითად, ახლა ნამდვილი ბიზნესლედი ხარ... თითქოს, ემოციაც აღარ გაქვს...

— პირიქით, ძალიან დიდი ემოციით გელაპარაკები...

— იმას, რასაც ათი წლის წინ აკეთებდი — ვთქვათ, თამამი ფოტოსესია, ახლაც გააკეთებ?

— რა თქმა უნდა, არა, იმიტომ, რომ ათი წლით გავიზარდე! ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ის სითამამე ისე გავიარე, ეჭვი არავის გასჩენია, ტვინი მაქვს თუ არა ანუ გარეგნობის გამო თვითტკბობით არ უნდა დაკავდე, რადგან ათი წლის მერე, ყველაფერი ეს გახმება, დაჭკნება, გაიწლაწება და სუბსტანციად იქცევი. მოკლედ, ვთვლი, რომ ასაკობრივად გავიზარდე და ათი წლის შემდეგ, კიდევ უფრო ჭკვიანი ვიქნები!

— დარწმუნებული რატომ ხარ?

— არ არსებობს, ისე დავიძინო, რაღაც არ გადავიკითხო, რამე ახალი არ ვისწავლო... შეიძლება, ძველი ფილმი ვნახო და იქიდან ის ამოვიღო, რაც მინდა... საერთოდ, ზუსტად ვიცი, რაც მინდა. აქამდე პროგრამა მინიმუმი მქონდა, ახლა კი პროგრამა მაქსიმუმი მაქვს. მაგალითად, ერთი თვის წინ, შეკვეთილში, ძალიან იაფად მიწის ნაკვეთი ვიყიდე (ივანიშვილს აქედანაც ვუახლოვდები). ცხოვრებაში ბანკთან საქმე არასოდეს მქონია, მაგრამ ბიზნესის გზას დავადექი — ეს ნაკვეთი იპოთეკით დავტვირთე და მინდა, ათი წლის შემდეგ, სასტუმროების ქსელი — „ვილა მოროშკინა“ მქონდეს.

— ვაუ, რა მაგარია! უფასოდ ხომ დამასვენებ?

— აბა, რა?! ვიპ-კლიენტი იქნები!.. სულ ვამბობ ხოლმე: კარგ ქმარს კარგი უფროსი სჯობია, რადგან მის ხელში იზრდები, ყალიბდები და „გუჩის“ ჩანთის დონეზე არ რჩებიმეთქი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს სამსახურში იდეალური პირობები მაქვს, ათი წლის შემდეგ საკუთარი ბიზნესი უნდა მქონდეს!

— ესე იგი, „ვილა მოროშკინას“ დაველოდოთ?

— „ვილა მოროშკინას“ ან „მოროშკინ დორფს“...

— „დორფი“ რაღაა?

— გერმანულად სოფელს ნიშნავს... ამ ქსელის პირველი ობიექტი გურიაში გაიხსნება, შემდეგ კახეთში... საერთოდ, წინასწარი შეგრძნებები მაქვს ხოლმე — როცა ვთქვი, ლოპოტაზე მიწის ნაკვეთს კაპიკებად მაძლევენ და მინდა, ვიყიდო-მეთქი, გარემოცვამ დამცინა და გავჩერდი.

— და იდეა მიშამ მოგპარა, არა?

— მიშა იდეებს ყოველთვის მპარავდა...

— ...პოლიტიკის ჟინმა გაგიარა?

— ჩემი რუსული გვარის მიუხედავად, ვიდრე ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია, რუსეთში არ მივდივარ. ვანო, ვიცი, ოკუპაციის თემა შენთვისაც მტკივნეულია. ერთი რომ წავიწუწუნო, ზუსტად ვიცი, პუტინი ხელგაშლილი დამხვდება. მისი გარემოცვის წარმომადგენლებმა ჩემი წიგნებიც წაიღეს და მთხოვეს, ერთადერთი თავი — „აგვისტოს ომი“ ამომეღო, მაგრამ ამაზე არ დავთანხმდი და ამიტომაც, რუსეთში ჩემი წიგნი არ გამოიცა. არადა, რომ დავთანხმებულიყავი, დღეს მილიონერი ვიქნებოდი...

— ამიტომაც მიყვარხარ, რომ მტერს „არ შეეკვრი ზავითა“. ისე, ცოტა უხერხულია, მოროშკინა რუსულ ოკუპაციას რომ აპროტესტებს, ჭეშმარიტად ქართულგვარიანები კი კრემლში მხსნელს ხედავენ!

— ვთვლი, რომ ჩვენი მიწები ოკუპირებულია და დღეს რუსეთი ოკუპანტია! თუ რუსეთი დიპლომატიურ ნაბიჯს გადმოდგამს, მინდა, რუსეთში საქართველოს ელჩი გავხდე და ქართველებს მაქსიმალური სიკეთე გავუკეთო!

— ანუ თუკი პუტინი ცხინვალის რეგიონსა და სოხუმს დააბრუნებს, რუსეთში ქართველთა დესპანად წახვალ?

— არა, ასე მარტივად არ არის.

— რატომ?

— კონფლიქტების მინისტრის მოადგილე ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი, ტერიტორიების დაბრუნება მძიმე პროცესია. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი: ამ ომების გამო, ბოდიში ჩვენც გვაქვს მოსახდელი, მაგრამ ბოდიში იმას უფრო აქვს მოსახდელი, ვინც უფრო დიდია... 2008 წლის აგვისტოს ომიც ვიცი, 2004 წელს კი, ჩვენი ბიჭები რომ დააჩოქეს, იქ ვიყავი... მოკლედ, სიღრმისეულად მხოლოდ ის კი არ ვიცი, კონფლიქტი რა არის, არამედ, ისიც, მოლაპარაკება როგორ უნდა დაიწყოს.

ყველა, ვინც მოლაპარაკებაზე ლაპარაკობს, მზადაა, ურთიერთობის აღდგენა კონცერტითა და ცეკვა-თამაშით დაიწყოს. მე კი საკითხს ასე არ ვაყენებ და ვამბობ: თუ ელჩი გავხდები, ზრუნვას რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მილიონ მოქალაქეზე დავიწყებ, რომელმაც არ იცის, როდის გამოასახლებენ რუსეთიდან ან მორიგი ტვინგადატრიალებული სკინჰედი როდის მიადგება. ასე რომ, ელჩობა ჩემი ერთადერთი პოლიტიკური ამბიციაა, ვერ ვხედავ პარტიას, რომელთანაც ასოცირებული ვიქნები.

— მგონია, რომ შენი პოლიტიკური ღირებულებები „თავისუფალი დემოკრატებისას“ უთანაბრდება...

— მოდი, ასე ვიტყვი: ჩემი ღირებულებები ახლოს არარადიკალებთანაა...

— ...ლალი, ნატო-ში ხომ გინდა?

— ამაზე კითხვაც არ არსებობს. როგორც კი გამიჭირდა, რუსეთში კი არა, ევროპაში წავედი!

— „შარლი ჰებდოს“ ტერაქტის დროს, პარიზში იყავი და, მახსოვს, სოციალურ ქსელში დაწერე კიდეც, შარლი ვარო...

— არა, არ მითქვამს, რომ შარლი ვარ... საერთოდ, როგორც მივხვდი, საქართველოში სრული ინფორმაცია არ აქვთ: „შარლი ჰებდოს“ უჩიოდნენ, თუმცა სასამართლომ რედაქტორი და კარიკატურისტები დამნაშავეებად არ სცნო. ის კარიკატურები ჩემთვის ადამიანობის, რელიგიის, მრწამსისა და გალაკტიკის შეურაცხყოფაა, მაგრამ მკვლელობა მეორე უკიდურესობაა, თან ბრძოლის სხვა მეთოდებიც არსებობს — მუსულმანებს შეეძლოთ, ქუჩაში ხალხის კრიტიკული რაოდენობა გამოეყვანათ. საფრანგეთში ასეა — თუ ხელისუფლება ხედავს, რომ ქუჩაში კრიტიკული მასაა, რაღაცას მომენტალურად ცვლის...

მოკლედ, იმ ადგილას, სადაც ტერორისტებმა 26 წლის პოლიციელი გოგონა მოკლეს, მივედი და ყვავილები მივიტანე. ამ გოგონას ფეისკონტროლი რომ არ ჰქონოდა „ჩართული“ და მანქანა არ გაეჩხრიკა, ტერორისტი ებრაული სკოლის ასაფეთქებლად მიდიოდა. აი, სწორედ ესაა მთავარი ამბავი და ამას ვაპროტესტებ — ვიდრე საფრანგეთში ვიყავი, ჩემი პატარა ნათესავები და მათი მეგობრები სკოლაში აღარ დადიოდნენ, დაზაფრულები იყვნენ...

— ლალი, საფრანგეთიდან დაბრუნებულს ცუდი ამბავი დაგხვდა — იური ვაზაგაშვილი, რომელიც შენი მეგობარი იყო, შვილის საფლავზე ააფეთქეს...

— ჩემთვის ვაზაგაშვილის მკვლელობა ისეთივე ტერაქტია, რაც პარიზში მოხდა! სასაფლაოზე პირველს ვაზაგაშვილის შვილიშვილს რომ მიერბინა, ის აფეთქდებოდა და ისედაც გაუბედურებულ ოჯახს ღმერთმა გადმოხედა, რომ ასე არ მოხდა. ნაღმის აფეთქება, დიახ, ტერორისტული აქტია! სხვათა შორის, 2014 წლის ივლისში, მე და იურამ პრესკონფერენცია ჩავატარეთ, სადაც სახელები და გვარები დაასახელა და თქვა, თუ ეს ადამიანები არ დაისჯებიან, შემდეგი მსხვერპლი მე ვიქნებიო. ისე, ამ ტერორისტული აქტის გახსნით ყველაზე მეტად თავად პირველი ეჭვმიტანილები უნდა იყოს დაინტერესებული, მაგრამ აქვე უნდა ვთქვა: სამართლიანობის აღდგენა რომ დაწყებულიყო, ეს არ მოხდებოდა. ცხოვრებაში პირველად მეც რაღაც უცნაური განცდა მაქვს — ყველამ იცის, მე და ჩემი შვილები სად დავდივართ და დანაღმვას რა უნდა? დღეს თითოეული ჩვენგანი სამიზნე ვართ! შეგვიძლია, მაისურზე „თარგეთ“ ანუ „სამიზნე“ დავიწეროთ და ქუჩაში ისე ვიაროთ. დიახ, მე და ყველა ადამიანი, ვინც საღად აზროვნებს და ისევ რეჟიმს ვებრძვით, სამიზნეები ვართ!

— ასეთი განცდა ნაციონალების დროს არ გქონდა?

— მაშინ ომში ვიყავი და ვიცოდი, ვისაც ვებრძოდი, თან ჩემს მიმართ ასეთ აკრძალულ მეთოდებსაც არ იყენებდნენ. ახლა კი, ვიღაც ფანტომი იატაკქვეშეთიდან გვებრძვის! გარდა იმისა, რომ ადამიანი აღარაა, დღეს ყველას ერთი განცდა აქვს: ვინ იქნება შემდეგი? პრემიერისთვის, მართლაც, ღირსების საკითხია, ეს დანაშაული მალე იქნას გამოძიებული და, თუ ასე არ მოხდება, ფიქრი, ალბათ, გადადგომასა და ვადამდელ არჩევნებზე უნდა დაიწყონ.

— შენი ქმარიც ნაციონალების მსხვერპლია — ესროლეს კიდეც...

— დიახ... როცა ვამბობ, ფონი დამძიმდა-მეთქი, ირაკლი მპასუხობს, ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთო, მაგრამ ვის ვებრძვით?

— ანუ ირაკლისაც აქვს განცდა, რომ შური შეიძლება, მასზეც იძიონ?

— ეს განცდა ყველას გვაქვს: ვიდრე მანქანაში ჩავსხდებით, ვათვალიერებთ...

— რა კარგია, რომ ავტო არ მყავს...

— არა უშავს, სხვა რამეს მოგიხერხებენ...

— დიდი მადლობა, დამამშვიდე!.. ლალი, იზიარებ ვერსიას, რომ იური ვაზაგაშვილი სპეცსამსახურებმა ააფეთქეს?

— კონკრეტულად, ვერ ვიტყვი, მაგრამ ამ მკვლელობაში ყველა დეტალი გათვლილია და ამას დილეტანტი ვერ გააკეთებდა... ისიც ხომ ვიცით, მთავრობაში საკაშვილის სერიოზულად გაწვრთნილი კადრები დღესაც რომ არიან და არ ვიცით, ვინ ვისთანაა შეკრული...

— ეს გასაგებია, მაგრამ ვაზაგაშვილის მოკვლა ხელს რატომ აძლევდათ?

— იურა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა იყო და მისი მოკვლის მიზანიც ხალხის გაგიჟებაა... იურა ჩემი მეგობარი იყო — ხშირად მირეკავდა, „ჯაზუშიც“ ხშირად მივდიოდი და ვიცი, ძალიან ბევრ ადამიანზე ნაწყენი იყო.

— მაინც, ვისზე?

— არ დავაკონკრეტებ, მაგრამ „ოცნების“ პოლიტიკოსებზე გულგატეხილი იყო...

— ლალი, შენც ბევრი რამე იცი და რეიტინგიც გაქვს. შენი გაჩუმება ხელსაყრელი ვისთვის იქნება?

— ნაციონალთა „ზონდერებისთვის“...

— „ზონდერები“ ფართო ცნებაა. უფრო კონკრეტულად?

— ნაციონალთა იმ „ზონდერებს“ ვგულისხმობ, ვინც დღესაც ხელისუფლებაში არიან... ამ ადამიანებს იურაც ასახელებდა, ია მეტრეველიც ასახელებს და მეც... უბრალოდ, ისე მოხდა, რომ ჩემი განცხადებები ხმამაღალი გამოვიდა და ფაქტითაც დამტკიცდა — ადამიანი, რომელიც ციხეში უნდა ყოფილიყო, თანამდებობაზე აღმოჩნდა...

— ყველა-ყველაა, მაგრამ ერთი ვერ გავიგე: 9 წლის წინ, პოლიტიკაში არ იყავი...

— როგორ არ ვიყავი — კონფლიქტების მინისტრის მოადგილედ ვმუშაობდი...

— ისიც მახსოვს, მიშასთან მეგობრობდი. ჰოდა, მიუღებელი რატომღა გახდი?

— პირველი ვიყავი, ვისაც მიშამ მინისტრობა შესთავაზა ანუ მოადგილეობიდან კონფლიქტების მინისტრად უნდა გადავსულიყავი, მაგრამ ის გეგმა დამიდო, რაც ჩემთვის მიუღებელი იყო.

— რა გეგმაზე ლაპარაკობ?

— ოსებთან მიმართებაში, რაც 2004 წელს განხორციელდა კიდეც და რაც ჩემთვის მიუღებელი იყო. ამიტომ, ყველა კარი ჩემთვის ერთ დღეს დაიკეტა — უნივერსიტეტიდანაც გამომიშვეს... სხვათა შორის, ყველაფერი ეს ჩემს წიგნში — „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“ წერია...

— ისევ იღბალმა გიშველა: შენთვის, როგორც ამბობ, ყველაფერი დაიკეტა და ხელი მწერლობას მიჰყავი — ზემოხსენებული წიგნი ბესტსელერად იქცა... ეს შენთვის საარსებო საშუალება იყო?

— ვანო, იცი, რა? — ზოგი ფიქრობს, მეც დავჯდები და დავწერო, მაგრამ 2009 წელს დისერტაცია მხატვრული ნაწარმოების აგებულებაზე დავიცავი ანუ ეს ჩემი პროფესიაა, თუმცა აზრს ბევრს ვეკითხებოდი, მათ შორის, შენც...

— შენს ქმარს ეს წიგნი წაკითხული აქვს?

— კი, ციხეში წაიკითხა...

— სასჯელაღსრულებამ სიყვარული გაპოვნინა და მთელი ის ბატალიები ამადაც ღირდა, არა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემი დამოუკიდებელი საქმეც ბიზნესიც უნდა მქონდეს...

— ისე, როგორც ირაკლი გიყვარს, ოდესმე ვინმე გყვარებია?

— არა და არც ამდენი მიფიქრია ანუ ყველა სიტყვას ვზომავ, რომ ჩემს ქმარს რაღაც ტკივილი არ მივაყენო... ირაკლი ძალიან ყურადღებიანია... ვკამათობთ კიდეც, მაგრამ ამ სოციუმში ჩემს პიროვნებას არ აკნინებს.

— პერიოდულად არ სვანდება?

— პერიოდულად კი არა, სულ სვანია!

— როგორიც ხარ, იმის დამსახურება ხომ არაა, რომ რამდენიმე სისხლი გაქვს?

— ვერ ვიტყვი, როცა რუსებს აუგად მოიხსენიებენ, არ მწყინს-მეთქი... რაც ასაკი მემატება, გენეტიკურად რუსულისკენ ვიხრები — საკვების გემოვნება, სიცივისკენ მიდრეკილება ანუ კავკასიელი არ ვარ...

— მოროშკინები საქართველოში როგორ მოხვდნენ?

— ჩემი დიდი ბაბუა ციმბირიდან მოსკოვში ჩავიდა და ლომონოსოვის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი დააარსა. მისი შვილი კი, ლვოვის უნივერსიტეტის რექტორი იყო, სადაც ბებიაჩემი, სოფიკო ვაჩნაძე სწავლობდა.

— სოფიკო მამაშენის დედა იყო?

— კი...

— ამ ქართველ ქალს რუსი კაცის რა მოეწონა?

— ჩემ რუსებს რბილი ციმბირული ხასიათი აქვთ. სოფიკო კი, მებრძოლი იყო — 94 წლის გარდაიცვალა და თავს ცხრა კაცს წააცლიდა. ერთხელ, დედაჩემს ჰკითხა, ეს ლალი ასეთი თამამი და ზედმეტად გაბედული ვის ჰგავსო და დედაჩემმა მიუგო, თქვენო.

— შენი პიროვნების ჩამოყალიბებაში თალეს შონიამ რა როლი შეასრულა?

— ჩემში თალეს შონიაა — მამაჩემისგან მხოლოდ გარეგნობა და გენეტიკა მაქვს, ალბათ, ცოტა ავანტიურიზმიც, დანარჩენი ყველაფერი კი, თალესმა მომცა, მათ შორის, საქართველოს სიყვარულიც — დედაჩემმა ქართული ცუდად იცის და ჩემი რუსულ სკოლაში შეყვანა უნდოდა, მაგრამ თალესმა თქვა, „ლარისა ივანოვნა“ გაიზრდებაო და ქართულ სკოლაში შემიყვანეს. ლევან ღვინჯილია ამბობს ხოლმე, ის ხარ, რომელ ენაშიც ცხოვრობო. მე ქართულ ენაში ვცხოვრობ და ჩემთვის რუსული, მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკურად რუსი ვარ, ისეთივეა, როგორც ინგლისური და გერმანული.

— გული არასოდეს დაგწყვეტია, რომ თალესი შენი ბიოლოგიური მამა არ იყო?

— არა. თალესი სულ ამბობდა, ჩემი შვილი ხარო და ბოლო წუთებში ღვიძლი შვილები — ირაკლი და მარინა გაუშვა, მე დამიტოვა და მითხრა, ძალიან ძლიერი იქნები და მე დაგეხმარებიო. მაშინ 24 წლის ვიყავი და ახლა ვიცი, რომ შემიძლია, რკინა გავკვნიტო და ეს თალესის დამსახურებაა.

— შენი ოჯახი ქართული სანტა ბარბარაა...

— (იცინის) ზუსტად...

— კომპლექსები გაქვს?

— არანაირი...

— ლალი, ბედნიერი ხარ?

— ძალიან. სულ ვამბობ, ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული-მეთქი — ჩემს გარშემო სულ ჭექა-ქუხილია, მაგრამ შემიძლია, ჩემს პატარა კუნძულზე პატარა სახელმწიფო ავაშენო...

— ადრე, მეხიც ხომ დაგეცა?

— ჰო, მაგრამ ამას პოზიტიურად ვუყურებ — ჩემს გარშემო იმდენი ცუდი ხდება, რომ ამ მეხმა ყველაფერი გაანეიტრალა ანუ მეხის დაცემის მერე, ირაკლი ჯაფარიძეზე გავთხოვდი...

— გათხოვებაზე კოსმოსში ინფორმაცია მაშინ გაუშვი, ერთ გადაცემაში რომ მოიტყუე, ვთხოვდებიო...

— ეს პიარავანტიურა იყო — წიგნის გაყიდვა მინდოდა, თუმცა მაშინ დედა გავათხოვე...

— ელოდი, რომ დედაშენი გათხოვდებოდა?

— ისე დავამუშავე, რომ ველოდი...

— როცა გათხოვდა, რამდენი წლის იყო?

— 63-ის. რომ შეხედავ, ახალგაზრდა წყვილია...

— არ შეგეშინდა, რომ „სამანიშვილის დედინაცვალი“ რეალობად იქცეოდა?

— არა. დედაჩემს კარგად ვიცნობ და ვიცოდი, მაქსიმუმ, ჩეხოვის „დუშეჩკა“ განმეორდებოდა... დედაჩემის ქმარი, ზაზა „სუხიშვილების“ ტოპ მენეჯმენტშია, ის ენერგიული მამაკაცია... ჰემინგუეი ამბობდა, ცხოვრება ძალიან გრძელია, რომ ერთ ადამიანთან განვლოო. ჩვენი ცხოვრება კი, უფრო გრძელია, რომ ერთი და ორი ადამიანით შემოიფარგლო. სხვათა შორის, თალესი არ თვლიდა, რომ აქ ყოფნა ერთადერთი სასუფეველია, ამბობდა, რომ დროებით ვართ, გამოცდას ვაბარებთ, ხოლო ჭეშმარიტი ცხოვრება სხვაგან გაგრძელდებაო. შეიძლება, არ უნდა ვამბობდე, მაგრამ გარდაცვალების წინ მანანას უთხრა, აუცილებლად გათხოვდი, მარტო არ დარჩე, ჩვენ შვილებს მოუარე იქ კი, ერთად ვიქნებით და მთავარი ესაო.

— დედამთილობისთვის ემზადები?

— კი არ ვემზადები, დიდი ხანია, მზად ვარ, მაგრამ სანდრო ზედმეტად დინჯი და პრაგმატული ადამაიანი აღმოჩნდა და თქვა, შენი და მამაჩემის ისტორიის განმეორებას არ ვაპირებო...

— ლალი, შენი სამშობლო საქართველოა?

— კი...

— რუსეთი?

— რუსეთი ისტორიული სამშობლოა!

— ჟურნალისტი ხარ... ლალი მოროშკინას რას ჰკითხავ?

— არ ვიცი... ალბათ, მასში შევცურავდი და დამაინტერესებდა, მის თავში რა იხარშება...

— რა იხარშება?

— ბევრი რამ... წიგნის ფიბულა საქართველოს უახლოეს ისტორიაზე

— ლალი, წარმატებას გისურვებ...

მაია მიშელაძე
593-51-90-12

გაკუპონდება თუ არა ლარი

ფინანსთა მინისტრი ადთასაა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — ბალთას ანუ როგორ დავიჭიროთ ღარი

ეროვნული ვალუტა ახალ ფსიქოლოგიურ ნიშნულს მიუახლოვდა — ეროვნული ბანკის მონაცემებით, 1აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1.98 ლარია. კომერციულ ბანკებსა და ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში კი, 2.00 ლარს გადასცდა. ლარის კურსის ცვლილებასთან ერთად, იმპორტირებული პროდუქტები უკვე გაძვირდა. მართალია, ფინანსთა მინისტრმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ეკონომიკაში მოლოდინის თეორია მნიშვნელოვანია. ხადურმა აგვიხსნა, რომლარის კურსის გაუარესებას ფსიქოლოგიური ფაქტორებიც იწვევს ანუ ცნობილი ადამიანების დაახლოებით ამ შინაარსის განცხადებები — ლარი ამა და ამ ნიშნულს მიაღწევს, ან ლარის დევალვაციის პროცესი ერთ კვირაში დაიწყება, მაგრამ ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ახალი წლის შემდეგ, ლარი რომელიმე ექსპერტის განცხადებამ გააუარესა. ძნელი სათქმელია, გაკუპონდება თუ არა ლარი, ასეთ პროგნოზს ვერცერთი ექსპერტი ვერ გააკეთებს, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული ვალუტა დღითიდღე უარესდება, პროდუქტები ძვირდება და ხალხი პანიკაშია.

ლარმა გაუფასურება გასული წლის ნოემბრის ბოლოდან დაიწყო. ლარის კურსის დასასტაბილურებლად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2014 წლის ბოლოს, 80 000 000 აშშ დოლარი გაყიდა, რამაც კურსი რამდენიმე დღე დაიჭირა. ახალი წლის შემდეგ, ლარის კურსმა დევალვაცია ისევ დაიწყო და აშშ დოლართან მიმართებაში, რამდენიმე პუნქტით გაუფასურდა.

2014 წლის ბოლოს, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, **ნოდარ ხადურმა** ლარის კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით, პირველი ოფიციალური კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ლარის კურსის მკვეთრი ცვლილება საგარეო ფაქტორებმა გამოიწვია:

„ლარის კურსზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის, საშინაო, საგარეო, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური. საშინაო და ეკონომიკურ ფაქტორებს რაც შეეხება, არც ეროვნულ ბანკს და არც ფინანსთა სამინისტროს, არცერთი ღონისძიება არ გაუტარებია, რაც კურსის გაუფასურებას წაახალისებდა და ამას სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით. თავისთავად ცხადია, რომ კურსზე გავლენა საგარეო ფაქტორებმა იქონია, რადგან ლარის კურსი დამოკიდებულია მიმოქცევაში არსებული ლარისა და საქართველოში არსებული დოლარის რაოდენობაზე. მათ შორის წონასწორობა უნდა იყოს დაცული. თუ კურსი იცვლება, მიზეზი ის არის, რომ დოლარის რაოდენობა მცირდება. დოლარის რაოდენობა დამოკიდებულია იმპორტ-ექსპორტზე, ინვესტიციებსა და რემიტენსებზე ანუ ჩვენი თანამემამულეების მიერ საზღვარგარეთიდან გადმორიცხულ თანხებზე. იმ პერიოდში, იმპორტი ძალიან არ გაზრდილა, ექსპორტი წლის განმავლობაში კი გაიზარდა, მაგრამ ნოემბერში ჩავარდნა გვქონდა. რემიტენსებში გვაქვს პრობლემები, რადგან მათი დიდი ნაწილი რუსეთიდან, საბერძნეთიდან და უკრაინიდან ირიცხება. კარგად იცით, რა რთული ეკონომიკური ვითარებაა სამივე ქვეყანაში. ნოემბერში, საქართველოში ტურიზმის სეზონი შედარებით მკვდარია და რჩება ფსიქოლოგიური, ანუ მოლოდინის ფაქტორი, რომელიც დამოკიდებულია ცნობილი, ან ცნობადი ადამიანების გამონათქვამებზე. როცა ცნობადი პირი, აპრილში ან მაისში აცხადებს, რომ დეკემბერში კურსი გაუარესდება, ამით საზოგადოებას უარყოფით მოლოდინს უჩენს. ამის შემდეგ, ლარის კურსის თუნდაც ერთი პუნქტით გაუარესებას, აჟიოტაჟი მოჰყვება. შესაბამისად, ლარის კურსის ვარდნის ერთ-ერთი, სერიოზული მიზეზი ესეც იყო — ფსიქოლოგიური მოლოდინის ფაქტორით გამოწვეული აჟიოტაჟი. არადა, კურსის ვარდნის ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს. ახლა შევხედოთ, რა მოსდის გაცვლით კურსს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში, ეროვნული ვალუტა უარესდება, მეზობელ აზერბაიჯანშიც ანალოგიური მდგომარეობაა, რადგან ნავთობის ფასის შემცირების გამო, მათ ეროვნულ ვალუტასაც პრობლემები ექმნება. ბოლოს და ბოლოს, ევროსა და დოლარს შორის იცვლება კურსი და ცხადია, ეს ჯანსაღი ეკონომიკური პროცესია, მაგრამ უპასუხისმგებლო განცხადებებით, ცეცხლზე ნავთი არ უნდა დავასხათ. პოლიტიკურად ანგაჟირებულმა ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ თავს ექსპერტებს უწოდებენ, პროცესი ხელოვნურად გააღვივეს და მიზანმიმართული აჟიოტაჟი შექმნეს. აჟიოტაჟის საფუძველი არ არსებობს, კურსი სტაბილურდება და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება“.

ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ეროვნული ვალუტის გაუფასურებული კურსი უნდა გაამყაროს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია. ზუსტად იმ დროს, როცა ლარმა გაუფასურება დაიწყო, საქართველოში აზერბაიჯანიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის ინვესტიცია შემოვიდა. ასევე, დიდი ინვესტიცია განახორციელა ჩინურმა „ჰუალინგ ჯგუფმაც“. თუ ქვეყანაში ასეთი რაოდენობის ინვესტიცია შემოვიდა, ლოგიკურია, რომ ლარი უნდა გამყარებულიყო, არადა, ეროვნული ვალუტა გაუფასურდა. ამასთან დაკავშირებით, ნოდარ ხადურმა „ვერსიას“ განუცხადა:

„ინვესტიცია მხოლოდ დოლარი არ არის, საინვესტიციო საქონელიც ინვესტიციაა. პირობითად ვამბობ, გაზსადენის ან ნავთობსადენისთვის საჭირო მილები და სამშენებლო მასალებიც ინვესტიციაა. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ჩვენთან ინვესტიცია ფულით კი არა, საქონლის სახით შემოდის. რეალურად, დღეს რომ ვიღაცამ 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, ეს ნიშნავს, რომ საინვესტიციო საქონელი შემოიტანა და პატარა, გადამამუშავებელი ქარხანა ააშენა. დოლარით ინვესტორს ამ ბაზარზე მხოლოდ შენობა-ნაგებობის შეძენა შეუძლია, ჩვენ ჩარხებსა და დანადგარებს არ ვაწარმოებთ და მათ შესაძენად, ეს დოლარი ისევ გარეთ გადის“.

ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში, **ლევან კალანდაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ინვესტორს ინვესტიციის ნაწილი მანქანა-დანადგარების, ნედლეულისა და ტექნოლოგიის სახით შემოაქვს და ამაში განსაკუთრებული არაფერია:

„როგორც წესი, საინვესტიციო საქონელი, ინვესტიციის 20%-ია. ამიტომ, საქართველოში ინვესტიციის სახით შემოტანილი 100 დოლარიდან 100-ვე ნედლეულის, ან მანქანა-დანადგარის სახით არ შემოდის. აპელირება, რომ ამ თვალსაზრისით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მონეტარული სტაბილიზაციის წინაპირობას არ ქმნის, არასწორია. თუკი მშენებლობაში განხორციელებულ ინვესტიციებს განვიხილავთ, ამ შემთხვევაში, ინვესტიციის 40%, შრომის ანაზღაურებას ხმარდება. როგორ შეიძლება, შრომის ანაზღაურების ხარჯი ძირითადი საშუალებების, ან ნედლეულის სახით შემოვიდეს? რა გამოდის — ფინანსთა მინისტრს მიაჩნია, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ქართული ეკონომიკის ზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს?!“

ლევან კალანდაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ გრძელვადიან პერიოდში, ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია საჭირო. გარდა ამისა, აუცილებელია იმ მსხვილი საინვესტიციო ქეისების ამოქმედება, რომლებიც ახლა შეჩერებულია. მთავრობის ეკონომიკურმა გუნდა უნდა იზრუნოს, რომ საექსპორტო წარმოება გაიზარდოს, რათა იმპორტსა და ექსპორტს შორის არსებული უარყოფითი სალდო შემცირდეს. ახლა, როდესაც 1 აშშ დოლარი 2.00 ლარს გადასცდა და პარალელურად, პროდუქტებიც გაძვირდა, ცალკეული ექსპერტები, სხვათა შორის, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც, ლარის კურსის დასასტაბილურებლად, ხელს ეროვნული ბანკისკენ იშვერენ და აცხადებენ, რომ გიორგი ქადაგიძემ სავალუტო რეზერვები უნდა გაყიდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულმა ბანკმა მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები გამოიყენოს, ჭარბი რაოდენობით დოლარი გაყიდოს და ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული შოკი მოხსნას.

ეროვნულ ბანკს სავალუტო რეზერვის გამოყენებით, ლარის კურსის დაჭერა, რა თქმა უნდა, შეუძლია, მაგრამ როდესაც წინ გაზაფხულია, ამგვარი ქმედება გაუმართლებელია. ზოგადად, გაზაფხული ინფლაციის მაღალი დონით გამოირჩევა, თანაც არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში: გაზაფხულზე ქვეყანას უკვე არსებული მარაგები ეწურება, ახალი პროდუქცია ჯერ შემოსული არ არის, არადა, მოთხოვნა მაღალია, მიწოდება კი — არასაკმარისი, ეს თავისთავად და ბუნებრივად ქმნის ინფლაციურ სიტუაციას. შესაბამისად, როდესაც წინ გაზაფხულია, თავისი სეზონური პრობლემით, ეროვნულმა ბანკმა მის ხელთ არსებული სავალუტო რეზერვი არ უნდა გაანიავოს. მოკლედ, უმჯობესი იქნება, თუკი ცალკეული ექსპერტები და მათთან ერთად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები, ჯერ კარგად გაერკვნენ ეკონომიკურ თეორიაში და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთონ განცხადებები.

ლევან კალანდაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მოკლევადიან პერიოდში, ლარის კურსის დასასტაბილურებლად, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ჰარმონიული მოქმედებაა საჭირო. რაც მთავარია, არსებობს სამი ძირითადი მექანიზმი, რასაც მოკლევადიან პერიოდში, ლარის კურსის „დაჭერა“ შეუძლია:

„ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა, პოლიტიკურ კონტექსტს ჩამოშორებული ნაბიჯები უნდა გადადგან და წმინდა რაციონალურ, პრაგმატულ გადაწყვეტილებებზე დაფუძნებული, სამნაწილიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშაონ. პირველი — ხარჯვითი პოლიტიკის ოპტიმიზაციაა, 2015 წლის პირველ კვარტალში, მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ხარჯვითი პოლიტიკა, რათა ლარის მასის ზრდამ, დოლარის ხელახლა მოთხოვნა არ გამოიწვიოს. მარტივად რომ ავხსნათ, უნდა ვხარჯოთ იმდენი, რამდენიც გვაქვს და დეფიციტური ხარჯვის პოლიტიკა არ უნდა გაგარძელდეს. მესმის, რომ ხარჯებია გასაწევი, მათ შორის, პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებითაც, რადგან ბიუჯეტი სოციალური ხარჯებითაა დამძიმებული, მაგრამ ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები მაქსიმალურად უნდა შემცირდეს. მეორე, აუცილებელია, რომ მთავრობამ საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გრანტებისა და კრედიტების პირველი ტრანშები, რაც შეიძლება დაჩქარებულ რეჟიმში მოიზიდოს. პირველი ტრანშების გადმორიცხვა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პირველ კვარტალში, რადგან ლარის ძირითადი პრობლემა სწორედ ამ პერიოდში ფიქსირდება. თუ შევძლებთ და პირველივე კვარტალში მივიღებთ დოლარის მაბალანსებელ წყაროს, ამით მნიშვნელოვნად შემცირდება ლარზე დაწოლა. აბსოლუტურად გეთანხმებით და არც მე ვარ მომხრე, რომ ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტები „უპრაგონოდ“ ვხარჯოთ, თუმცა მესამე მექანიზმი, მაინც ეროვნული ბანკის სწორედ ამ ინსტრუმენტის გამოყენებაა, მაგრამ პანიკისა და ერთჯერადი შოკების მოსახსნელად. პარალელურად, ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ქმედება ჰარმონიული უნდა იყოს, არ შეიძლება, რომ ეროვნულმა ბანკმა ცალკე პოლიტიკა აწარმოოს, ფინანსთა სამინისტრომ — ცალკე. თუ ისინი შეწყობილ-შეთამაშებულები არ იქნებიან, იგივე სიტუაციაში აღმოვჩნდებით, როგორც 2014 წლის ბოლოს მივიღეთ. მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მონეტარულ ინსტრუმენტებს გამოიყენებდა, მაგრამ ისიც დაამატა, რომ ფინანსთა მინისტრი პირობას შეასრულებდა და დეფიციტურ ხარჯებს არ განახორციელებდა. ამის მიუხედავად, ფინანსთა მინისტრმა წლის ბოლოს ეს პირობა დაარღვია და დეფიციტური ხარჯვითი პოლიტიკა განახორციელა ანუ დეკემბერში 1 300 000 000 ლარი დახარჯა, როდესაც საშუალოდ, 700 000 000 ლარს ვხარჯავდით ხოლმე. ასე რომ არ მოხდეს და ფინანსთა მინისტრი ალთას არ იყოს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — ბალთას, უმჯობესია, ამ ორმა, ძირითადმა უწყებამ მონეტარული პოლიტიკა კოორდინირებული მუშაობის შედეგად დაგეგმოს“.

ვერსიანიუსი

BP საქართველოში ინვესტირებას განაგრძობს

კომპანია საქართველოში ინვესტიციების გაგრძელებას გეგმავს. ასეთია დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, საქართველოს დელეგაციასა და British Petroleum-ის აღმასრულებელ დირექტორს, რობერტ დადლის შორის გამართული შეხვედრის შედეგი. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, BP-ს აღმასრულებელ დირექტორს უკვე განხორციელებული ინვესტიციებისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

British Petroleum-ი, მსოფლიოში წამყვანი ბრიტანული ნავთობკორპორაციაა, რომელიც 80 ქვეყანაშია წარმოდგენილი, 3 96.2 000 000 აშშ დოლარის შემოსავალი აქვს და 84 000 თანამშრომელი ჰყავს.

როგორც ცნობილია, -ს მნიშვნელოვანი წილის აქვს „როსნეფტშიც“, რომელმაც დავით იაკობაშვილის დაფუძნებული Petrocas Energy International-ის აქციების 49%-იანი პაკეტი შეიძინა. ეს ფინანსური გარიგება ერთობლივი კომპანიის შექმნას ითვალისწინებს. Petrocas ფოთის ნავთობტერმინალის მფლობელია.

სააგენტო BPI

„სახელმწიფომ კონკურენტული გარემო არ უნდა დაამახინჯოს“

გიორგი გიორგაძე

„ქვეყანაში ინფლაცია არ იქნება“, — აცხადებს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი, რომელიც „ვერსიასთან“ საუბრისას, ახალი ინიციატივით გამოდის და ხელისუფლებას სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და შპს-ების ოპტიმიზაციას სთავაზობს. ამასთან, პავლიაშვილი აცხადებს, რომ ქვეყანაში „პარალელიზმის პრობლემა“ დგას — მაგალითად, მთავრობასა და ეკონომიკურ საბჭოს თითქმის ერთნაირი ფუნქციები აქვთ. პავლიაშვილის თქმითვე, საქართველო შუაგული ევროპა არაა, შესაბამისად, საქმე არც ასარჩევად გვაქვს და ამიტომ, უარი ერთ ინვესტორსაც არ უნდა ვუთხრათ.

სოლომონ პავლიაშვილი ხელისუფლებას სსიპ-ებისა და შპს-ების ოპტიმიზაციას ურჩევს

— ბატონო სოლომონ, ლარის კურსმა 1.99 ნიშნულს ბოლოს, როგორც ვიცი, 2005 წელს მიაღწია. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ეროვნული ბანკის მენეჯმენტი არ შეცვლილა, ანუ თუკი აქცენტი არაპროფესიონალიზმზე კეთდება, ეს არაპროფესიონალიზმი ნაციონალების დროს რატომ არ ჩანდა?

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეკონომიკური პოლიტიკა რადიკალურად არ შეცვლილა, გარდა იმისა, რომ დღეს საკუთრების ხელყოფა-ჩამორთმევა და ბიზნესზე ზეწოლა აღარ ხდება, ამიტომ ეკონომიკამ, ერთი მხრივ, ამოისუნთქა, მეორე მხრივ კი, ცეკვა-თამაშსა და კულტურულ ღონისძიებებს ისევ ბიუჯეტიდან აფინანსებენ. ვაუჩერებსაც ისევ არიგებენ — როგორც ვიცი, ამ ვაუჩერებით ფერმერებს ნერგების შეძენაც შეუძლიათ. არადა, არ შეიძლება, ბიუჯეტი მთლიანად სოციალურ პროგრამად და კერძო სექტორების წახალისებად იყოს გადაქცეული. ზემოხსენებულ ღონისძიებებს სახელმწიფო მხოლოდ რადიკალურ შემთხვევებში უნდა ახორციელებდეს და, თუკი ყველაფერ ამას სისტემატური ხასიათი აქვს, ეროვნული ვალუტის დევალვაციურ და შემდეგ, ინფლაციურ პროცესებამდე მივყავართ... სხვათა შორის, 2014 წლის მონაცემებით, მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 9 პროცენტია, რაც ძალიან ცოტაა და იმის შედეგია, რომ ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებები არ ხორციელდება... ერთი სიტყვით, ადრეც მითქვამს და ვიმეორებ: დეფლაციის კი არა, ინფლაციის უნდა გვეშინოდეს. ეროვნული ბანკი დეფლაციას ეთამაშებოდა — მონეტარული პოლიტიკა შეარბილა და ხელი კრედიტების გაცემასაც შეუწყო: ჩემი ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კრედიტების გაცემა ლარში 60 პროცენტზე მეტით გაიზარდა, თან კრედიტები, უმეტესად, ლარშია გაცემული. შესაბამისად, ბაზარზე ლარის მასა გაიზარდა, რასაც დოლარის დეფიციტი მოჰყვა. აქ კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც ჯერ არ მუშაობს: მსოფლიოში ნავთობის ფასი დაეცა და ბარელი უკვე 42 დოლარი ღირს. ესე იგი, ამ კუთხით იმპორტზე ნაკლები დოლარი იხარჯება, მაგრამ ამის კომპენსაცია არ ჩანს.

— ესე იგი, საქმე ერთგვარ მაფიასთან გვაქვს?

— ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია: იმპორტისთვის იმაზე ნაკლები დოლარი გვჭირდება, ვიდრე აქამდე გვჭირდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლარის დევალვაცია მაინც ხდება და ყველაფერ ამას გლობალური პრობლემებიც ემატება.

— რას გულისხმობთ?

— ევროპაში ევროს მიმართ ლიბერალური პოლიტიკა ხორციელდება, რასაც აშშ დოლართან მიმართებაში არ აკეთებს. შესაბამისად, დოლარი ევროსთან მიმართებაშიც გამყარებულია. გვინდა თუ არა, სხვა ქვეყნებთან კავშირი მაინც გვაქვს, თან ჩვენი ძირითადი პარტნიორი თურქეთი, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანია. ჩვენს ეკონომიკაზე გავლენას სომხეთში მიმდინარე პროცესებიც ახდენს...

— ინვესტორებზე უარყოფითად იური ვაზაგაშვილის აფეთქებაც იმოქმედებს?

— რა თქმა უნდა, ინვესტორებზე გავლენას ოპოზიციონერთა ის განცხადებებიც ახდენს, რომელსაც უცხოეთში აკეთებენ ანუ როცა ქვეყნის შიდაპოლიტიკური თამაშები გარეთ გადის, ეს ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს.

— ბატონო სოლომონ, თქვენი ინფორმაციით, ბოლო ორ წელში ქვეყანაში რამდენი ინვესტორი შემოვიდა?

— არ ვიცი, მაგრამ 2014 წელს ქვეყანაში მილიარდამდე ინვესტიცია შემოვიდა, რაც ცოტა ნამდვილად არაა, თუმცა ისეთი წლებიც გვახსოვს, მაგალითად, 2007 წელი, როცა ინვესტიციამ 2 მილიარდი შეადგინა. ასეა თუ ისე, მგონია, რომ ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის კოორდინაცია სუსტია...

— ბოლო დროს დიდი აჟიოტაჟია ატეხილი „პანორამა თბილისზე“. ამ პროექტის მომხრენი მთავარ აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ ქვეყანაში დიდი ინვესტიცია შემოვა, ამასთან, სამუშაო ადგილებიც შეიქმნება...

— „პანორამა თბილისი“ ჩვენს ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს.,.

— მიუხედავად იმისა, რომ ძველი თბილისის ხედს, როგორც ამბობენ, დაამახინჯებს?

— ეს ისტორიკოსებისა და არქიტექტორების საქმეა, მე კი, როგორც ეკონომისტი, ვაცხადებ, ნებისმიერი ინვესტიცია — „პანორამა თბილისი“ იქნება თუ ტერმინალის, გნებავთ, ჰესის მშენებლობა, თუ ჩვენს გეოპოლიტიკასა და რელიგიას არ ეხება, უნდა მივიღოთ. მეტიც, ინვესტიციების წარმოშობა არ უნდა გვაინტერესებდეს!

— ესე იგი, „როსნეფტსაც“ თავი უნდა დავანებოთ?

— დიახ...

— უცნაურია: აქ ხომ ლაპარაკი სტრატეგიულ ობიექტზეა, თან „როსნეფტი“, არსებული ინფორმაციით, სოხუმის სეპარატისტულ ხელისუფლებას აფინანსებს...

— სტრატეგიული ობიექტი რას ნიშნავს, ან რა მნიშვნელობა აქვს, ფოთის პორტს პავლიაშვილი მართავს, პეტრიაშვილი თუ პეტერსონი? გასაგებია, რომ „როსნეფტი“ რუსული სახელმწიფო კომპანიაა, მაგრამ მისი ძირითადი ინტერესი მაინც მოგებაა.

— როცა ქონების მართვის მინისტრი იყავით, შემოთავაზების მიუხედავად, სტრატეგიული ობიექტები არ გაყიდეთ. ახლა კი, მგონი, სხვა პოზიციაზე ხართ...

— მაშინ იმიტომ არ გავყიდეთ, რომ კარგი შეთავაზებები არ გვქონდა, თან ჯერ ამ ობიექტების გარკვეული რესტრუქტურიზაცია-რეორგანიზაცია უნდა მომხდარიყო და მერე გაგვეყიდა... სხვათა შორის, მაშინ თავი შევიკავეთ და „გაზპრომთან“ ხელშეკრულებას ხელი არ მოვაწერეთ. გასაგებია, აქ პოლიტიკური აქცენტებია, მაგრამ ეკონომიკაში ღრმად მანამ უნდა წავიდეთ, ვიდრე ეკონომიკა პოლიტიკაში არ გადაიზრდება ანუ რამის სანაცვლოდ ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა გავაღრმავოთ...

— ისე, ეკონომიკა გვაქვს?

— რას ლაპარაკობთ, როგორ არ გვაქვს?! დუბაის მაგალითი რომ ავიღოთ, იქ მნიშვნელობა არ აქვს, პრეზიდენტი და პრემიერი ვინაა, მთავარი ეკონომიკური აღმავლობაა... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ თუკი ეკონომიკას ტერიტორიების დაკარგვის სანაცვლოდ ვაძლიერებთ, ეს მიუღებელია, მაგრამ ამ ეტაპზე, როცა ტერიტორიები გაყინული თემაა, ეკონომიკური საკითხები უნდა დავძრათ. ავიღოთ, მაგალითად, ღვინის ან მწვანილის თემა...

— სხვათა შორის, ითქვა, რომ „მწვანილის მაფია“ გამოცოცხლდა...

— რა მნიშვნელობა აქვს, მაფიაა თუ არა? ჩვენთვის ერთია მთავარი: მწვანილი ქვეყნიდან გავიდეს და სანაცვლოდ ფული შემოვიდეს, დამთავრდა — მეტი არაფერია საინტერესო! ჩვენ შუაგული ლიხტენშტეინი ან შვეიცარია არ ვართ, ინვესტიციები ასარჩევად გვქონდეს!..

აღარ მინდა, რეგულაციებს დავუბრუნდე, რამაც ინვესტიციები შეამცირა. ასევე, სწორად არ მიმაჩნია მიწაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესება, აქციზის გაზრდა და ეკონომიკური ამნისტია. მეტიც, სახელმწიფოში ე.წ. სახელმწიფო შპს-ების შექმნა მასობრივად მიმდინარეობს, რაც არასწორი ტენდენციაა.

— რატომ?

— ეს რუსულ ეკონომიკურ პოლიტიკას ჰგავს და სახელმწიფოს მართვის სისუსტეზე მიანიშნებს, ოღონდ ამ პოლიტიკის გატარება ამ ხელისუფლებამ კი არა, ნაციონალებმა დაიწყეს და დღესაც გრძელდება. თბილისის ახალ მერს ასზე მეტი სახელმწიფო შპს დახვდა...

— სახელმწიფო შპს-ებით ფული „თეთრდება“?

— სახელმწიფო ფულს სახელმწიფო კომპანია იყენებს, რაც არასწორია. თუკი ასეა, მაშინ ამ სახელმწიფო შპს-ებს მონაწილეობა პრივატიზაციაშიც მივაღებინოთ და სახელმწიფო ობიექტები ისევ სახელმწიფომ იყიდოს. ეს შპს-ები, ერთი შეხედვით, თითქოს რაღაც ხვრელების ამოვსებას ემსახურება. ავიღოთ, მაგალითად, ე.წ. მექანიზაციის სერვისები, რომლებმაც თავის დროზე კარგი საქმე გააკეთეს, მაგრამ რატომ არ შეიძლება, ეს ცენტრები ახლა კერძო კომპანიებმა მართონ? სახელმწიფო შპს-ებში დასაქმებულები, მიუხედავად იმისა, კომპანია მომგებიანია თუ არა, სახელმწიფოს ხარჯზე, ხელფასს მაინც იღებენ ანუ ყველა სახელმწიფო შპს დასაქმებისა და თავშესაფრის ერთგვარ საშუალებად გადაიქცა, თან აქ ხალხს კონკურსის წესით არ იღებენ — კერძო კომპანიაა და ვისაც უნდა, იმას დაასაქმებს!

— ბატონო სოლომონ, ცხონებული კახა ბენდუქიძე გამახსენდა, რომელიც ამბობდა, სინდისის გარდა, ყველაფრის გაყიდვა შეიძლებაო. მაშასადამე, თქვენც ამბობთ, რომ ფული ნებისმიერისგან უნდა ავიღოთ?

— დიახ, ფული ყველასგან უნდა ავიღოთ, გარდა იმისა, ვინც ჩვენს გეოპოლიტიკას საფრთხეს უქმნის.

— ამ კონტექსტში, საყდრისთან დაკავშირებული მოვლენები უნდა გავიხსენო — ინვესტორი ფულს დებს, მაგრამ ირკვევა, ამ ფულით ჩვენი ისტორია ნადგურდება. მოკლედ, ფული თუ ისტორია?

— თუ დადასტურდა, რომ საყდრისს ნამდვილად 5 ათასი წლის ისტორია აქვს და ეს ოქროს საბადო მსოფლიოში უნიკალურია, მაშინ ფულზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ, თუ ეს გაბერილი თემაა და ყველაფერი სხვა რამეს ემსახურება, მაშინ ცხადია, მომხრე ვარ, ეკონომიკა განვითარდეს. ისე, რატომღაც მგონია, იმ არასამთავრობოების უკან, რომელთაც საყდრისზე ერთი ამბავი ატეხეს, გარკვეული პოლიტიკურ ძალები დგას. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ისეთი ორგანიზაციები გააქტიურდნენ, რომელთაც ბოლო 9 წლის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ. თუ ყველაფერზე არასამთავრობებმა უნდა ილაპარაკონ, მაშინ ხელისუფლება რაღას აკეთებს? საერთოდ, ხელისუფლების ნება მყარი უნდა იყოს და საზოგადოების აზრი არ სწყინდეს, რადგან საზოგადოების აზრი ზოგჯერ მთავრობის სტრატეგიის ადეკვატური არაა.

— ბატონო სოლომონ, წეღან ლარის გაუფასურებაზე ვლაპარაკობდით და დამავიწყდა, მეკითხა, არსებობს მოსაზრება, რომ ამ პროცესებით ვიღაც დიდ ფულს შოულობს...

— ეს ბანკების ჩვეულებრივი ამბავია...

— ბანკებზე კი არა, კერძო პირებზე გეკითხებით...

— ამაზე ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა ე.წ. შავი პარასკევის დროს ვიღაცებმა ფული მართლა იშოვეს და ეს საქმე თეთრი ძაფით იყო ნაკერი...

ერთი სიტყვით, სახელმწიფოსა და მესაკუთრის ფუნქციები უნდა გაიმიჯნოს. ის, რაც მისი საქმე არაა, სახელმწიფომ არ უნდა გააკეთოს და პირიქით. მაგალითად, წინა მთავრობა საწავეს არიგებდა, ახალი მთავრობა კი — ვაუჩერებს, მაგრამ ეს მთავრობის საქმე არაა. ხელისუფლების საქმე სულ სხვა რამეა.

— მაინც, რა? ახლა, არ მითხრათ, რომ ხელისუფლების მოვალეობა მხოლოდ სიგარეტის გაძვირებაა...

— აქციზის მომატება, რა თქმა უნდა, ხელისუფლების საქმეა, მაგრამ სიგარეტის იმ მოტივით გაძვირება, რომ მწეველთა რაოდენობა შემცირდება, აბსურდია. გასაგებია, რომ სიგარეტზე აქციზის გაზრდა ბიუჯეტში დამატებით 250 მილიონის შეიტანს და ეს დიდი თანხაა, მაგრამ ყველა მედალს ორი მხარე აქვს ანუ საკითხავია, ეს არალეგალურ ბიზნესში გადასვლას ხომ არ გამოიწვევს, ან რა გარანტიაა, რომ ხალხი დაბალი ხარისხის სიგარეტზე არ გადავა და ამ შემთხვევაში, უარეს შედეგს მივიღებთ: მოსახლეობის ჯანმრთელობა დაზიანდება. მინდა, პრემიერი წარმატებული იყოს და ამიტომ, მთავრობის ყველა წევრსა თუ პარლამენტარს ვურჩევ, ისეთი ინიციატივით გამოვიდეს, ამით მეორე საქმე არ გააფუჭოს. ზოგიერთი გადაწყვეტილება პირდაპირ სადღეგრძელოს ჰგავს.

— ბატონო სოლომონ, რამდენიმე თვის წინ, პრემიერთან ეკონომიკური საბჭო შეიქმნა. მისი მუშაობის შესახებ რამე გსმენიათ?

— მგონია, რომ ეს პარალელიზმია — ეკონომიკურ საბჭოსაც თითქმის იგივე ფუნქციები აქვს, რაც მთავრობას და აქედან გამომდინარე, საინტერესოა, საბჭოში იდეების გენერაცია ხდება თუ არა. თუკი საბჭოს სხდომას მხოლოდ ეკონომიკური გუნდის მინისტრები, საინვესტიციო ფონდისა და რამდენიმე სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელობა ესწრება და განხილული საკითხების მთავრობაზე რეგისტრაცია ხდება, მაშინ ეს პარალელიზმი რა საჭიროა?

სხვათა შორის, 8 წელია, ვამბობ, ქვეყანაში ძალიან ბევრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რაც საჭირო არაა. ეს ინსტიტუციონალური პრობლემაა და საჯარო ფუნქციები ზოგიერთ ისეთ კომპანიას აქვს დავალებული, რომელიც შეიძლება, შპს იყოს. ჯანდაცვის, ან ენერგეტიკის სამინისტროს შპს-სთან რა ხელი აქვს? წარმოიდგინეთ, როგორი ქაოსია... ამიტომ, მართვის საკითხი გადასახედია. სახელმწიფო მეწარმე და მეურნე კი არა, პოლიტიკის გამტარებელი უნდა იყოს! სხვათა შორის, ვიცი, დავით ნარმანია მუნიციპალური საწარმოების ოპტიმიზაციას აპირებს. კონკურენტული გარემოს დამახინჯებაა, როცა სახელმწიფო სახელმწიფო კომპანიებს ახალისებს. მაგალითად, უმაღლესი განათლების სისტემაში არსებობს რამდენიმე პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებში აფინანსებს, კერძოში კი — არა.

„300 არაგველთან“ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკი“ ფილიალი გაიხსნა

მეტროსადგურ „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, წინანდლის ქუჩისა და ქეთევან წამებულის გამზირის კვეთაზე, „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი გაიხსნა.

როგორც ბანკის ხელმძღვანელმა, ნატალია კვანტალიანმა „ვერსიას“ განუცხადა, ბანკის ახალ ფილიალში მსურველებს სისხლის ჩაბარება საქართველოში ყველაზე მაღალი ანაზღაურებით შეეძლებათ.

ამასთან, ახალ ფილიალში სისხლის ყიდვაც იქნება შესაძლებელი.

წინანდლის ქუჩისა და ქეთევან წამებულის გამზირის კვეთაზე გახსნილი „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი უანგარო დონორებსაც მოემსახურება.

აქვე, შეგახსენებთ, რომ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკი“ საქართველოში ყველაზე ძველი და დიდი ტრადიციების მქონე ბანკია.

თვითმარქვია „კანონიერი ქურდი“

როგორ გააცუცურაკა „ჯეფისტმა“ პატიმარმა ციხის ადმინისტრაცია

პატიმარი №0578

მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლებამ „კანონიერ ქურდობასა“ თუ ე.წ. შავი სამყაროს წევრობაზე სასჯელი შემოიტანა, ციხეები „საინტერესო“ ადამიანებით გაივსო. საკმარისი გახლდათ, ვინმეს დაჭერა მოსურვებოდათ, კრიმინალურ სამყაროსთან კავშირს მარტივად უმტკიცებდნენ და, რიგით მოქალაქეებს ვინ ჩივის, ამ ბრალდებით ციხეში პროკურორები, გამომძიებლები და ფეხბურთელებიც კი ხვდებოდნენ. ალბათ, ყველას გახსოვთ გიორგი დემეტრაძის მაგალითი, როცა იგი ციხეში ქურდული სამყაროს წევრობისთვის ჩასვეს და, იმის მიუხედავად, რომ ცალკე ადვოკატებმა, ცალკე კი დემეტრაძემ ბევრი იძახეს, რა ქურდული სამყარო, კაცი მთელი ცხოვრება „ტრუსიკით“ დარბისო, არავინ დაუჯერა. მეორეს მხრივ, ამ კანონის შემოღებას სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებიდან კანონიერი ქურდების გაქრობა მოჰყვა — მათ რიგით პატიმრებთან ერთად სასჯელის მოხდა აეკრძალათ და ყველას თავი მეშვიდე საპყრობილეში მოუყარეს. გარდა ამისა, როგორც წინა, ისე მოქმედი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა და ცდილობს, გააკონტროლოს, რომელიმე ახლადმოვლენილი კანონიერი ქურდი შემთხვევით ჩვეულებრივ ზონაზე არ შეეპაროს. ამიტომაც, ადრეც და ახლაც, ხელისუფლება მაქსიმალურ ინფორმაციას იღებს სხვადასხვა ქვეყნიდან იმის შესახებ, ვინ „აკურთხეს“ ქურდად და რამდენი ახალი წევრი შეემატა ე.წ. ქურდულ სამყაროს, თუმცა...

როცა გელა თოდუა რუსეთში დააკავეს და ქართულ მხარეს შეუთვალეს, თუ გინდა, კიდევ ერთ კანონიერ ქურდს ჩაგახუტებთო, ჩვენებმა სიხარულისგან ხტუნვა დაიწყეს. თოდუას ექსტრადიციას ის ვიდეოჩანაწერიც მოჰყვა, რომელშიც დაკავებული აღიარებს, რომ კანონიერი ქურდია. თოდუას რეისს სამართალდამცავები ზარ-ზეიმით დახვდნენ, დაკითხვაზე კიდევ ერთხელ ათქმევინეს, რომ კანონიერი ქურდი იყო და მეშვიდე საპყრობილეში გაისტუმრეს... სამ თვეში, თოდუა რუსთავის №17 დაწესებულებაში მიიყვანეს და რიგით პატიმრებთან ერთად შეაგდეს. არადა, როცა ზონაზე ხმა გავრცელდა, მეშვიდედან მოჰყავთ პატიმარიო, ყველა გაინაბა. №0578 მაშინვე მაყურებლების კამერაში გაჩნდა და სთხოვა, ვინც უნდა იყოს, ვიდრე ხალხი დაესევა, მე უნდა ვნახო — ცოცხალი ქურდი ნანახი არ მყავს, მაგრამ მეეჭვება, ადმინისტრაციამ აქ ქურდი მოგვიყვანოს, რაღაცაშია საქმეო.

„გაუმარჯოს, ბიჭებს, მე გელა თოდუა ვარ, ქურდი... კანონიერი ქურდი“, — მაყურებლების კამერაში შესვლისთანავე თქვა თოდუამ და გაიღიმა.

პატიმარი №0578 შეცბა. ქურდი ცოტა სხვანაირად წარმოედგინა, დღე-დღეზე გლდანის „რეზბალნიცაზე“ ეტაპს ელოდა, ტარიელ ფოცხვერიას ნახვა აინტერესებდა და, თოდუას რომ შეხედა, ეს ინტერესი დაეკარგა. მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე, ნარზე დასვეს, კარი მიხურეს და მშვიდად ჰკითხეს: „თუ ქურდი ხარ, ზონაზე როგორ შემოგიშვეს?! მით უმეტეს, მეშვიდედან მოგიყვანეს და შემთხვევითობა გამორიცხულია“.

„რომ ვამბობ, ქურდი ვარ-მეთქი, ე.ი. ვარ. პალაჟენიას მოვიყვან აქ ერთ კვირაში, თავად ნახავთ“, — თქვა გელამ და ისევ გაიღიმა.

„არ ვიცი, ეს ქურდია თუ არიფი, მაგრამ გიჟების თვალები ნანახი მაქვს და გეუბნებით, არანორმალურია. რა ქურდი, რის ქურდი, შეხედე, რას ჰგავს?! საცინლად აგიგდებს მთელი ზონა, ამას რომ ქურდობა დააბრალო“, — ყურში უჩურჩულა №0578-მა მაყურებელს და აქ მოხდა ის, რამაც ყველაფერს ფარდა ახადა.

„ახლა კამერაში მაყურებლები ვართ, ეს ჩვენი ძმაა, არ შავობს, მაგრამ ძმა არის. ყურში ჩამჩურჩულა რაღაც მაშინ, როცა კამერაში, როგორც შენ ამბობ, ქურდია და ამაზე რეაქცია არ გქონდა ანუ გაატარე ის, რომ კამერაში რაღაცას გიმალავენ და ეს ელემენტარული წესი თუ გეშლება, რანაირი ქურდი ხარ?!“ — ხმაში სიმკაცრე გაურია მაყურებელმა.

დანარჩენებმა წამოიწიეს, ცხადი გახდა, რომ თვითმარქვია ქურდს წიხლქვეშ გაიგდებდნენ, მაგრამ გელამ ისევ მშვიდად გაიღიმა და გაიმეორა: „ქურდი ვარ, ქურდი. ქურდებს სიცოცხლე, ბოზებს სიკვდილი!“

„სვაბოდაზე, წამალზე იჯექი?“ — მოულოდნელად ჰკითხა №0578-მა.

„კი, წამალზე დამიჭირეს“, — ღიმილით თქვა გელამ.

„რას იკეთებდი?!“ — არ მოეშვა №0578.

„თავიდან სუფთა გერაინზე ვიჯექი, მერე ცოტა გაგვიჭირდა და რაც შეგვხვდებოდა, რა“, — ჩუმად თქვა „ქურდმა“.

„ანუ, ბოლოს, როცა გიჭირდათ, ძირითადად, ჯეფზე იჯექი, ხო?!“ — დააკონკრეტებინა №0578-მა.

„ჰო, ჯეფზე,“ — ისევ გაიღიმა გელამ.

„ახლა ხომ ხვდებით, რომ გარეკილი აქვს ჯეფისტებივით. შეეშვით, რა. ძაღლებმა ჭამეს, ქურდი ვარო, იძახდა და მეშვიდეში გააქანეს, იქ გაირკვა, რომ ჩვეულებრივი ნარკომანია, მაგრამ ქურდებმა რატომ არაფერი თქვეს ეს სამი თვე? — ვერ მიხვდებოდნენო, ამის მტკიცება სისულელეა, რაღაცაშია საქმე. ეგებ, მეშვიდეში როგორმე ან ხმა მივაწვდინოთ, ან ქსივა გავგზავნოთ“, — თქვა №0578-მა.

„ქსივა კი გამომატანეს ისე, მაყურებელს მიეციო და სულ დამავიწყდა“, — ღიმილით თქვა გელამ და უკანა კბილზე ძაფით მიბმული და გადაყლაპული „ქსივა“ პირიდან გამოიღო. მაყურებლებმა ცელოფანი შემოხსნეს და კითხვას შეუდგნენ.

„მაგ ბიჭს არაფერი დაუშავოთ, თავისიც ეყოფა. არ არის ცუდი გულის ბიჭი. რომ მოიყვანეს, მაშინვე ვისქესეთ, რომ ჭამეს ძაღლებმა და ჩვენც არაფერი გვითქვამს. აქ გასართობი არაფერია და კი გვართობდა ისტორიების მოყოლით. ბოლოს გაიგეს, ვინც იყო და თქვენსკენ გამოუშვეს. ეგებ, თავდაყირა დააყენოთ ხოლმე ხშირად, ჯეფისგან ტვინში დაგროვებული მარგანცოვკა ასე გაიწოვება, მაგრამ წლები უნდა“, — დაახლოებით, ასეთი იყო ქურდების მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი.

„ყველაფერი გასაგებია“, — შვებით ამოისუნთქა მაყურებელმა, მაგრამ ახალი პრობლემა წარმოიშვა: „მე სად ვწვები?!“ — იკითხა გელამ და ყველა მიხვდა, რომ „კანონიერი ქურდი“ მაყურებლების კამერაში დარჩენას ითხოვდა.

„მომისმინე, ძმა. აქ ახლა ასეთი სიტუაციაა, გადანაწილებული გვაქვს კაიბიჭებს კამერები, ამიტომ, შენ ჩვეულებრივ კამერაში უნდა იცხოვრო, პალაჟენია მოიყვანო, სხვაგვარად ზონას ვერ დავიჭერთ“, — უთხრა მაყურებელმა და გელაც დაეთანხმა. მეორე დღეს მთელმა ზონამ იცოდა ეს ამბავი, მაგრამ მაყურებლის მითითებით, გელას ვერავინ უბედავდა, ეთქვა, ქურდი არ ხარო.

„ასე არ გამოვა, რა. გადაგვრია ამ შენმა ქურდმა, ყოველ საღამოს სისულელეებს გვებაზრება და თან გვეუბნება, შნირი მომიყვანეთ, მერგებაო. კაზიოლების კამერაში შნირების მეტი რა არის, მაგრამ პერსონალურად ამას შნირს ვერ ავუყვანთ, რა. რამე უთხარი, აღარ შეგვიძლია“, — ამდაგვარი ჩივილით მაყურებლის კამერას ხან რომელი პატიმარი შეაღებდა და ხან — რომელი, თუმცა გელასთვის რამის თქმას აზრი არ ჰქონდა და არ არსებობდა ქვეყანაზე ძალა, რომელიც დაუმტკიცებდა, რომ ქურდი არ იყო. თავდაყირა დაყენებაზე ხომ საერთოდ იშლებოდა, მე თქვენ გიჟი ხომ არ გგონივართო... არადა, გიჟი მართლა არ იყო.

„გელა, შენთან საქმე მაქვს, ქურდულს ეხება. თუ გცალია, ჩემთან ავიდეთ და ვიბაზროთ“, — შეაპარა ერთ დილით №0578-მა.

„ქურდულისთვის მე ყოველთვის მცალია“, — მშვიდად უთხრა გელამ და ორ წუთში ორივე №0578-ის ნარზე ჩაის წრუპავდნენ და გულითადად საუბრობდნენ.

„რუსეთში რას აკეთებდი, ან ქურდად ვინ მოგნათლა, ან საერთოდ, რა პონტია, ამდენ ზონაზე ერთი ქურდი ხარ. თუ საიდუმლო არ არის, მომიყევი“, — სთხოვა №0578-მა.

„არა, რა საიდუმლო — ვიპარავდი რუსეთში, ძირითადად, ბინებზე ვმუშაობდი. მერე წამალზე შევჯექი და დამერხა, რა. ნათლობას რაც შეეხება, სამი სული ქურდი იყო. ხომ ხედავ, ქურდული ვარსკვლავებიც მაქვს, რუსეთში გამიკეთეს. აქედან რომ გავალ, ისევ იქ წავალ და აქ ჩამომსვლელის დედაც, რა. ზონა კიდევ ქურდებმა მომიგვარეს, მიდი, მიხედეო და ვხედავ, რა“, — გაეღიმა გელას და უცებ პატიმარი №0578 შეცბა.

„რა მოხდა?“ — ჰკითხა გელამ.

„რა მოხდა?! მოხდა რამე?“ — კითხვა დაუბრუნა №0578-მა.

„არა, არაფერი, სახე შეგეცვალა“, — მშვიდად თქვა გელამ და კამერიდან გავიდა.

„დამიჯერე, აზრზეა უკვე მოსული, ახლა ნაღდად გვეკაიფება ჩვენ. შენ, მე, ყველას, რა. გაუარა იმ ჯეფისტობის სიგიჟემ, ჩვეულებრივი, აზრზე მოსული ტიპია, თვალებში ეტყობა, თვალები არასოდეს ტყუის, აღარ აქვს ის თვალები, ადრე რომ ჰქონდა, დამიჯერე, რა“, — №0578 მაყურებლების კამერაში იყო და ლამის ყვიროდა.

„შენ რა გაახურე ამ თვალებით, რომელი შეყვარებული შენ ხარ, მაგის თვალებს რომ აკვირდები. შეეშვი, რა, გიჟია“, — ხელი აიქნია მაყურებელმა.

„რა გიჟი, ბიჭო? რომ მოიყვანეს, ორ კვირაში ერთხელ ბანაობდა, ახლა ყოველდღე აბანოშია, წვერსაც ხშირად იპარსავს, თავს უვლის ტიპი, დაჭკვიანდა, გაიგე, რომ დაჭკვიანდა“, — არ მოეშვა №0578.

„კარგი, დავუშვათ, დაჭკვიანდა. მერე რა მაგით?!“ — შეეპასუხა მაყურებელი.

„რა და, ამ სიგიჟის გამო, ეგ კაცი ძველ ზონაზეც გადადის და კრიტის ზონაზეც, კაციშვილი არ ეხება. შენც კი გადადიხარ ხოლმე, მაგრამ ეგ კვირაში ერთხელაა. ჰოდა, მოიყვანე, დაისვი, აუხსენი და ატაროს ქსივები აქეთ-იქეთ, მაგის გიჟობას სხვა ვერაფერში გამოიყენებ“, — ურჩია №0578-მა და ზუსტად ათ წუთში გელა თოდუა მაყურებლების კამერაში გამართულად საუბრობდა.

„პრობლემა არაა, ძმაო, ყველაფერს ვიზამ, ოღონდ არ უნდა გაბაზრდეს. ამის კამერაშივე მივხვდი, რომ დავიწვი, მაგრამ არ შევიმჩნიე. თვალებში მაშტერდებოდა და ეს სიგიჟე თვალებიდან გამქრალია უკვე. ახლა რომ ვიხსენებ, რას ვაკეთებდი, მაგრად მრცხვენია, მაგრამ ჯეფის ბრალია, მაგის მომგონს არ ენახოს ჯეფის მეტი არაფერი“, — იღიმოდა გელა.

მაყურებლების ქსივები სამ ზონას შორის გელამ კარგა ხანს ატარა. ყველას ისევ ჯეფისგან შეშლილი ეგონა, სინამდვილეში კი, ზონიდან ზონაზე მის „ბოდიალზე“ ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ვერსიანიუსი

სამართალდამცავებმა მცხეთაში მომხდარი ქურდობა ცხელ კვალზე გახსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ხონში მცხოვრები, 1982 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი ზურაბ ს. ქურდობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გეთსიმანიის მამათა მონასტრის კელიაში შეაღწია, კომპიუტერს და მობილურ ტელეფონს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ზურაბ ს. მომხდარიდან რამდენიმე წუთში, მამათა მონასტრიდან დაახლოებით 50 მეტრში, მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას ნაქურდალი ნივთები — კომპიუტერი და მობილური ტელეფონი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შს სამინისტრო პოლიციელის დაჭრაში ეჭვმიტანილს ეძებს

მიმდინარე წლის 23 იანვარს, ლიკანში, შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები გიორგი ბერუაშვილი და გიორგი მახარაშვილი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ფეხით პატრულირებას ახორციელებდნენ, რა დროსაც წარსულში მრავალჯერ ნასამართლევმა, ბორჯომში მცხოვრებმა, 1977 წელს დაბადებულმა შალვა აბულაძემ, დანახვისთანავე, შემხვედრ პოლიციელებს ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სროლის შედეგად ორივე სამართალდამცველი დაიჭრა. პოლიციელებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ბორჯომის რაიონულ საავადმყოფოში ჩაუტარდათ, შემდეგ კი თბილისში გადაიყვანეს.

მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შალვა აბულაძის დასაკავებლად. თუ ფლობთ აღნიშნული პირის ადგილსამყოფელის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას, მიმართეთ პოლიციის განყოფილებას ან დარეკეთ 112-ზე.

„ვერსიანიუსი“

ადამიანებს ცოცხალ რობოტებად ქცევის საფრთხე ემუქრება

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ცივილიზაცია სპობს კულტურას — ეს გამონათქვამი, გარკვეულწილად, თანამედროვეობას მიესადაგება. ტექნოკრატიისა და არნახული სამეცნიერო მიღწევების საუკუნეში, ინფორმირებულობის დონე პიკს აღწევს. ამ ფონზე კი, სულიერება, თითქოს, დაჩრდილულია. მაინც რა ცვლილებებს იწვევს ადამიანის ფსიქიკაში ცხოვრების აჩქარებული ტემპი, მუდმივი სტრესი, მატერიალური სიდუხჭირე... „ვერსიის“ რესპონდენტი, ფსიქოლოგი თინათინ ჭაღოშვილი გვიხსნის, როგორ დავაღწიოთ თავი მავნე „მიჯაჭვულობებს“, როგორ შევიგრძნოთ ბედნიერება და დავტკბეთ ცხოვრებით.

რაფომ ვართ ურთიერთობების დეგრადაციის ხანაში და რა ფსიქიკურ ცვლილებებს იწვევს თანამედროვე პროგრესი

— დღეს სახეზეა ურთიერთობის დეგრადაცია. ადამიანებს დაავიწყდათ, რომ როგორც თომას მანიმ თქვა, „სული უწყვეტია და სხვა სამყაროს ნაწილი, სხეული კი — მოკვდავი და დედამიწის კუთვნილი“. დღეს ისინი ცდილობენ, გაექცნენ რეალობას ნარკოტიკით, ალკოჰოლითა თუ სხვა საშუალებით. ცხოვრების გზას თვალდახუჭულნი და შეშინებულნი მიჰყვებიან. უნდა ვუთხრათ: არ შეგეშინდეთ თვალის გახელის, რადგან საკმარისია, საყვარელი ადამიანები დაინახოთ, დაამყაროთ მათთან ურთიერთობა... და გამოჩნდება მინიმუმ ორი გამოსავალი.შემდეგ დაგეუფლებათ „ღვთაებრივი ნეტარება“ და მიხვდებით, რომ მხოლოდ დანახვა და შეგრძნებაა საკმარისი ბედნიერებისთვის, რომელმაც განვითარების, წინსვლისა და თვითრეალიზების ძალა უნდა მოგცეს.

— გასაგებია, მაგრამ ადამიანები ხომ ილუზორული ბედნიერებისკენ მიილტვიან არაფხიზელი მდგომარეობით?

— ეს მოპარული ბედნიერებაა, რისთვისაც აუცილებლად ვაგებთ პასუხს. ამ იდეოლოგიით უნდა მუშაობდეს მთავრობა, ტელევიზია... ჯანსაღი ურთიერთობა ერთადერთი გამოსავალია, რომელიც საზოგადოებას დაუბრუნებს ჯანმრთელობას. უძრაობისა და ურთიერთობის დეგრადაციის ხანაში ვცხოვრობთ, რამაც შესაძლოა, ცოცხალ რობოტებად გვაქციოს. ყველაზე საგანგაშო, რაიმეზე ცუდი დამოკიდებულებაა. დაბადებიდან, ადამიანი დედაზეა დამოკიდებული, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ მან თუ არაჯანსაღი ფორმა მიიღო და მიჯაჭვულობად გადაიქცა, პათოლოგიასთან გვაქვს საქმე. ამ პირველ „მიჯაჭვულობაზეა“ დამოკიდებული, მომავალში, რამდენად ჯანსაღად გადალახავს ადამიანი არაერთ „მიჯაჭვულობას“. ეს პათოლოგიური „მიჯაჭვულობები“ კი, თავისთავად არღვევს ადამიანურ ურთიერთობს, რაც ყველაზე მსუბუქ შემთხვევაში, ნევროზით მთავრდება.

— გარეფაქტორებიც ხომ ახდენს გავლენას?

— გარემოფაქტორებიც მნიშვნელოვანია. ეს დიდი იმედია მათთვის, ვისაც ხსენებული პრობლემები აქვს. გარკვეულწილად, გარემოს თავად ვქმნით — ასეთ ადამიანებს არ უნდა შევუქმნათ მაპროვოცირებელი ფაქტორები. ჯანსაღი გარემო პრობლემის დაძლევაში დაგვეხმარება. 21-ე საუკუნეში იმდენად „აჩქარდა დრო“, ადამიანი დასვენებას ვერ ახერხებს და რასაც თანამედროვე ცხოვრება მოითხოვს, სინამდვილეში, პათოლოგიურია. დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ 2-3 საათი ძილიც საკმარისია. არადა, ზრდასრულ, 50 წლამდე ადამიანს, 8 საათი აუცილებლად უნდა ეძინოს ღამეში. უამრავი პრობლემა ადამიანს ძაბავს და, როცა რელაქსაცია ფუფუნებაა, მიმართავს მოდუნების სხვადასხვა იოლ ფორმას, როგორიცაა: ალკოჰოლი, ნარკოტიკი, აზარტული თამაშები, წამლები, კომპიუტერთან მიჯაჭვულობა, სიგარეტი, მარიხუანა... პერმანენტული მოხმარება იწვევს დამოკიდებულებას. შემდეგ ადამიანი კარგავს საკუთარ პიროვნებას და იქცევა პათოლოგიური დამოკიდებულების მსხვერპლად, რასაც მივყავართ სულიერი თუ ფიზიკური ავადმყოფობისკენ. საზოგადოებას მივმართავ — ჯანსაღი ცხოვრებაა მთავარი, ჩამოთვლილი პათოლოგიები კი გზაა თვითმკვლელობისკენ. ნუ გაწირავთ თავსა და გარშემომყოფებს! დროულად მიმართეთ დახმარებას და გამოჯანმრთელებაზე იზრუნეთ!

— ამ პრობლემების მიზეზი, გარკვეულწილად, ტრადიციების დაკარგვაც ხომ არაა?

— ასეა... ღირსეულ ტრადიციებს საფრთხე შეუქმნა ჩვენი საუკუნის სწრაფმა ინფორმაციულ-ტექნიკურმა განვითარებამ. გასულ საუკუნეში, ერთმა ცნობილმა უცხოელმა ფსიქოთერაპევტმა, მეგობრული ურთიერთობები და ქართული სუფრის ტრადიცია, შეაფასა, როგორც დიდი ფსიქოთერაპია. სამწუხაროდ, დღეს ქართული სუფრაც მავნე ჩვევად იქცა — ადამიანები ურთიერთობაზე კი არა, იმაზე ფიქრობენ, დროზე შევიდნენ ბახუსში, რათა თავი უკეთ იგრძნონ. რატომ მოხდა ასე? ჩვენი საუკუნის ადამიანი მოუცლელია, ვეღარ ურთიერთობს მეგობრებთან ისეთი სიხშირით, მშობელს არ შეუძლია, ბავშვს დაბადებისდღე სახლში აღუნიშნოს, რადგან ან სამსახურიდან გვიან ბრუნდება, ან დაღლილია, ამჯობინებს რესტორანს. ასე, ერთი შეხედვით, იოლდება საქმე, მაგრამ მეორე მხრივ, სახლში სტუმრების მიღების ტრადიცია ხელიდან გვეცლება. ამას ისიც ემატება, რომ ლუკმა-პურისთვის ვიბრძვით. საჭიროა, დავიცვათ ბალანსი ისე, რომ ცხოვრებასაც ავუწყოთ ფეხი და თავიც დავიცვათ გარემოს არასწორი ზემოქმედებისგან. ამაში კი ჯანსაღი აზროვნება და ცხოვრების ჯანსაღი წესი თუ დაგვეხმარება.

— რა იგულისხმება ჯანსაღ აზროვნებასა და ცხოვრების ჯანსაღ წესში, ვარჯიშის გარდა?

— საჭიროების შემთხვევაში დროულად მივმართოთ სპეციალისტს, ვისწავლოთ რელაქსაციური სუნთქვა, ვილოცოთ, ვივარჯიშოთ, წავიკითხოთ წიგნები, ვაკეთოთ სასარგებლო საქმე, უქმად არ დავკარგოთ დრო, ყოველდღიურად მივიღოთ შხაპი, ვისეირნოთ სუფთა ჰაერზე, ვეთამაშოთ შვილებს და არ გავხადოთ ისინი კომპიუტერის მსხვერპლნი, არ დავივიწყოთ მეგობრები, გავუფრთხილდეთ ურთიერთობებს, ვიკვებოთ ჯანსაღად... კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება. ამათგან რომელს აირჩევთ, თავად უნდა გადაწყვიტოთ. მხოლოდ ასე მიხვდებით, სიცოცხლე რამხელა ბედნიერებას გვანიჭებს. არ უნდა გავუშვათ ხელიდან სიცოცხლის სიყვარული და ბედნიერების განცდა. სიცოცხლე ხომ ყველაზე მშვენიერი რამაა ამქვეყნად!

სოფელ მერიის „სამხედრო დასახლების“ მკვიდრნი დახმარებას ითხოვენ

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

დასახლება, რომლის სავიზიტო ბარათი საბჭოთა შენობა-ნაგებობების ნანგრევები და მათში მცხოვრები ოჯახებია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თემში მდებარეობს. უკიდურეს გაჭირვებასა და მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრებთა ერთადერთი მიზანი არსებობისთვის ბრძოლაა. ისინი ჯერ დანგრეულ და შემდეგ აგურ-აგურ გაყიდული საცხოვრებელი ბინებიდან შემორჩენილ ერთ ოთხსართულიან კორპუსში ცხოვრობენ.

როზა ღუღუნიშვილი ერთ-ერთია იმ ასეულობით საბჭოთა ოფიცრის ოჯახის წევრებიდან, რომელიც ყოფილ სამხედრო ქალაქს შემორჩა. ის დღეს ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გარეშე დარჩენილ მხოლოდ ათამდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მასთან ერთად, 30-მდე ადამიანს უწყლობა, კანალიზაციის სისტემის არარსებობა და რა თქმა უნდა, უკვე ტრადიციადქცეული უმუშევრობა და სოციალური პრობლემები აწუხებს.

„სამუშაო არაა. ყველა უმუშევარია. ზოგი სხვის ყანა ამუშავებს და 20 ლარს უხდიან. წლებია აქ ვარ. თავიდან სხვა სახლში ვცხოვრობდი და მერე აქ შემომასახლეს. რთულ პირობებში მიწევს არსებობა — ყველა ოთახში წყალი ჩამოდის. მხოლოდ ერთი ოთახი ვარგა საცხოვრებლად. პენსიით გამაქვს თავი და ისიც როგორ გავანაწილო, არ ვიცი — შეშა მოვიმარაგო, წამლები ვიყიდო თუ საკვები?

სოციალური დახმარება არ მაქვს და ვფიქრობ, არც მომცემენ. პირველყოფილივით, უტელევიზოროდ ვიყავი. პენსია წინასწარ გამოვიტანე და ვიყიდე. ვფიქრობ, ამის გამო დახმარებას არ დამინიშნავენ“, — ამბობს **როზა ღუღუნიშვილი.**

„გვპირდებოდნენ, სახურავს გაგიკეთებთ, კანალიზაციისა და წყლის პრობლემას მოგიგვარებთო, მაგრამ დღემდე არავის გავხსენებივართ. ყოველი წვიმის დროს, ოთახებში იატაკზე ჭურჭელს, ვედროებს ვალაგებთ, რომ სახლი წყლით არ აივსოს. ზაფხულში, გაჭირვებასთან ერთად, ქვეწარმავლებიც გვაწუხებენ — პირდაპირ სახლში შემოდიან. ყველა უმუშევარია, დედაჩემი და მამაჩემიც ყანაში დადიან ქირაზე სამუშაოდ“, — ამბობს ამავე კორპუსის მცხოვრები **ნანა ნინიძე**.

ერთადერთი, რისი გაკეთებაც ამ ადამიანებმა საკუთარი ძალით შეძლეს, არტეზიული ჭაა. სასმელად წყალი უვარგისია, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობის გამო, მაინც იყენებენ.

როზა ღუღუნიშვილი: „ჭა საკუთარი ძალებით გავაკეთეთ, წყალი არ გვქონდა. ვსარგებლობთ, მაგრამ, როცა ჭურჭელში ვაჩერებთ, შავდება. ვფიქრობთ, სასარგებლო არ უნდა იყოს, მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს“.

ამ დასახლებას სიცოცხლის ნიშანწყალს მხოლოდ საავტომობილო გზა უნარჩუნებს, რომელიც მდინარე ნატანების გასწვრივ უხვად მომრავლებულ კარიერს აკავშირებს. თუმცა, აქედან, ადგილობრივებს ერთადერთი „სარგებელი“ აქვთ — მტვერი, ტალახი და მუდმივი ხმაური.

როგორც გავარკვიეთ, ადგილობრივი ხელისუფლება სოფელ მერიის ყოფილ სამხედრო ქალაქში შემორჩენილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სრულფასოვან რეაბილიტაციას გეგმავს. მუნიციპალიტეტის გამგებლის, **მერაბ ჭანუყვაძის** ინფორმაციით: **„ეკონომიკის სამინისტროს უკვე მივმართეთ წერილობით, რომ მერიაში, ე.წ. სამხედრო ქალაქში შემორჩენილი კორპუსი საკუთრებაში გადმოეცეს მუნიციპალიტეტს. ამის შემდეგ დაიწყება სარემონტო სამუშაოები, გადაიხურება სახურავი, მოწესრიგდება სადარბაზოები, წყალგაყვანილობა და საკანალიზაციო სისტემა, გარემონტდება საცხოვრებელი ფართები... აქ გადმოვიყვანთ იმ ათამდე ოჯახს, რომელიც მოპირდაპირე ოთხსართულიან კორპუსში ცხოვრობს. იმ კორპუსის გარემონტებას აზრი არ აქვს, იმდენად გამოსულია მწყობრიდან. გარდა ამისა, შესაძლებლობა გვექნება, კიდევ 60-მდე უსახლკარო ოჯახს მივცეთ ნორმალურად ცხოვრების შესაძლებლობა და საკუთარი ჭერი“.**

1. მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებ.
2. სამოთხის ბაღი
3. მდინარე ქუთაისში
4. პოლონეთის პარლამენტის სახელწოდ.
5. სახის შესახედაობა ვვერდიდან
6. კერძო მასწავლებელი
7. ასანთის კოლოფების შეგროვება
8. მდინარე ციმბირში
9. უდიდესი სიამოვნების, კმაყოფილების შეგრძნება
10. სასახლის ინტრიგან კარისკაცთა ჯგუფი
11. ხერხემლის გაღუნულობა წინისაკენ
12. დეზდემონას მამა „ოტელოში“
13. ხელოვნების ღმერთი ბერძ.მით.
14. ცომის გასაბრტყელებელი ფიცარი
15. ქალაქი რაჭაში
16. გულშემატკივართა შეძახილი კორიდაზე
17. დაკლული საქონლის შიგნეულობა
18. ქსპან. ფარფოფარფლიანი ქუდი
19. ისტ. მხარე დასავლთ საქართვ.
20. ჩარლი ჩაპლინის მეუღლე
21. საცალფეხო გზა
22. მოლეკულის შემადგენ. ნაწილაკი
23. რისამე დამახასიათ. ნიშანი
24. იგივეა, რაც ბამბა
25. ათოსის მსახური
26. ყველაზე გრძელი მთათა სისტემა
27. ჩინგიზ აიტმატოვის ეროვნება
28. გარეული ვირი
29. რუსეთის ფედერაციის სუბიექტი
30. ერთგვარი მაქმანი, რომელსაც ამობურცული სახეები აქვს
31. თუთიყუშის სახეობა
32. წყლით გაჟღენთილი, ნესტიანი
33. ფრანგი მწერალი
34. ხელის საგრილობელი
35. შავკანიანი ადამიანი
36. მწვავე ვირუსული დაავადება
37. ფუჭი, უშედეგო
38. ჯოტია ცაავას სატრფო „რეკორდში“
39. ერთეულო-ვანი ვექტორი
40. სპორტის სახეობა
41. მაუგლის პითონი
42. ყინულზე სასრიალო სპეც. ფეხსაცმელი
43. ფრანგული ყურძნის ჯიში
44. სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა
45. მდინარე იტალიაში
46. ლიანდაგის შემადგენელი ნაწილი
47. იაპონური თეატრის სახეობა
48. ოპერა „კარმენის“ ავტორი
49. ისტორიის მუზა
50. მუსიკალური გამის II ნოტი
51. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
52. ბრტყელი კუთხის საზომი ერთეული
53. აგატა კრისტის დეტექტივების პერსონაჟი ერკიულ ...
54. ქალაქი, სადაც ჟანა დარკი კოცონზე დაწვეს
55. დიდი მუწუკი
56. ნაღვლიანი ლექსი
57. სასტუმროს მსახური ბიჭი
58. მსახიობი ჯუდ ...
59. კრემიანი ნამცხვარი
60. ქალაქის თვითმმართველობის შენობა

სუნამო ქალის ასაკს ამხელს

მანდილოსნებს ასაკის დამალვა ახასიათებთ, რაშიც პლასტიკური ქირურგია ან ასაკის საწინააღმდეგო კოსმეტიკა ეხმარება. თუმცა, ეს ყველაფერი, შესაძლოა, საკმარისი არ აღმოჩნდეს იმისთვის, ახალგაზრდად გამოიყურებოდე. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლების ასაკის დადგენა მათი სუნამოს სურნელითაც შეიძლება. იაპონელი სწავლულების დასკვნით, რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით მეტ ნონენალს — ქიმიურ ნივთიერებას გამოყოფს მისი სხეული, რომელიც კანში ცხიმმჟავების დაშლისას წარმოიქმნება. ნონენალს სპეციფიკური სუნი აქვს და სწორედ მას შეუძლია გაამხილოს მშვენიერი ბანოვანის ასაკი. 40 წელს ზემოთ ქალებში ნონენალის რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე 20 და 30 წლის ასაკში. კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა ამერიკელმა მეცნიერებმა გააკეთეს რატჯერსის უნივერსიტეტიდან. ისინი ირწმუნებიან, რომ მამაკაცებს შეუძლიათ ქვეცნობიერად, პარფიუმის მიხედვით გაარჩიონ, რა წლოვანების არის ქალი. ექსპერიმენტში მონაწილე, 20-დან 60 წლამდე ასაკის ძლიერ სქესს შესტავაზეს განესაზღვრათ, რომელი არომატი უხდება სხვადასხვა ასაკის ქალბატონებს — არჩევანი ვანილის, ლავანდის, ვარდის, ხილისა და ბოსტნეულის სურნელებს შორის უნდა გაეკეთებინათ. ვარდის სურნელი თითქმის ყველა მამაკაცმა ასაკოვან ქალბატონებს მიაკუთვნა, ხოლო ხილის ნოტები, მათი მოსაზრებით, ახალგაზრდა გოგონების ასოციაციას უფრო ბადებს.

საუზმე 59 კერძისგან

ინგლისში, ქალაქ პორტისჰედის ერთ-ერთი კაფეს მფლობელებმა კლიენტებს 59 კერძისგან შემდგარი საუზმე შესტავაზეს. მისი ენერგეტიკული ღირებულება 8 ათას კალორიას შეადგენს. ასეთი საუზმე 15 გირვანქა სტერლინგი ჯდება და ის სპეციალური აქციის ფარგლებში იყიდება, რომელსაც დაწესებულება ატარებს. ამდენ საკვებს რომ გაუმკლავდეს, კლიენტს ერთი საათი აქვს დრო. ვინც ამას მოახერხებს და საუზმეს ბოლომდე მიირთმევს, ადგილს საპატიო დაფაზე დაიკავებს და კიდევ ერთი საუზმის ვაუჩერს მიიღებს. აქცია ერთი თვეა დაიწყო და ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა გამოყოფილ დროში ჩატევა და დავალების შესრულება. საუზმეში შედის ორი ომლეტი, ოთხი ულუფა შემწვარი კარტოფილი სოკოთი, ოთხი ნაჭერი პური, ორი ულუფა ჩაშუშული პომიდორი და ლობიო, ექვს-ექვსი სოსისი, ძეხვი, კარტოფილის ოლადები და ბეკონის ნაჭრები. ამ ყველაფერს ემატება რძის კოქტეილი ან ენერგეტიკული სასმელი. კაფეს წესების მიხედვით, ყველა ეს კერძი ერთდროულად მხოლოდ სრულწლოვან ადამიანს შეიძლება შესთავაზონ.

ანგარიში წვეულების გაყდენისთვის

ხუთი წლის ბრიტანელს ანგარიში გამოუწერეს იმის გამო, რომ ვერ მივიდა თანაკლასელის დაბადების დღეზე. პლიმუტელი ალექს ნეში აპირებდა წვეულებაზე წასვლას, რომელიც სამთო-სათხილამურო კურორტზე უნდა შემდგარიყო. მაგრამ ბოლო მომენტში, მშობლებს გაახსენდათ, რომ იმ დღეს ბებია-პაპასთან მიდიოდნენ სტუმრად და შვილის დაბადების დღეზე წაყვანა გადაიფიქრეს. ორიოდე კვირის შემდეგ ალექსი სკოლიდან ანგარიშით ხელში დაბრუნდა, რომლის მიხედვიტაც მას 15,95 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 24 დოლარი) ჰქონდა გადასახდელი. სწოერედ ეს თანხა დაუხარჯავს მასპინძლის ოჯახს ალექსის არშემდგარ ვიზიტზე. ქვითარს ხელს თანაკლასელის დედა აწერდა. ალექსის მამამ თავიდან იფიქრა, რომ ეს ხუმრობა იყო, მაგრამ ტექტს კარგად რომ დაუკვირდა, მიხვდა, ნამდვილი ანგარიში იყო გამოწერილი. ის ამბობს, რომ სურდათ, იუბილარის მშობლები გაეფრთხილებინათ, მაგრამ მათი ტელეფონის ნომერი ვერ იპოვეს. მას შემდეგ, რაც ნეშის მშობლებმა უარი განაცხადეს თანხის გადახდაზე, იუბილარის ოჯახმა სასამართლოში სარჩელის შეტანა გადაწყვიტა.

სუდოკუ ყანა

ადვილი

			2			7		
	8		5					9
5		2	9	7			8	
4		1			5		7	
	6		4			5		8
	7			1	2	6		4
1					4		5	
		4			3			

სტანდარტი

8		4				3		
5		2		7	4			
			2					
	9		7	6			5	
		7	5	9	1	8		
	5			2	8		7	
					2			
			6	8		5		2
		1				6		4

რთული

		1						5
8		6		3				
9	5				7	6		2
		8		7	4	5		3
7		5	8	6		1		
6		2	3				4	8
				4		3		6
3						9		

ექსპერტი

	7		2	9				1
	4	9					6	
		2		4	1		8	
		4					7	6
			9		4			
5	2					8		
	9		7	2		6		
	8					7	5	
2				1	8		9	

ყველაზე კარგი სამუშაო – ნამცხვრის დეგუსტატორი

ბრიტანელი დიზაინერი და „ნამცხვრის გამომცდელი“ საიმონ პოუპი აცხადებს, რომ ქვეყანაში საუკეთესო სამუშაო აქვს — მის მოვალეობაში წელიწადში დაახლოებით 7 ათასი ერთეული ტკბილეულის გასინჯვა შედის. პოუპს „ახალი პროდუქციის კონტროლიორის“ თანამდებობა უკავია, ამიტომ სამსახურში მუდმივად ფინჯან ჩაისა და ნამცხვარს მიირთმევს. ნამცხვრის დიზაინი და სტილი უნდა შევისწავლო, რაც მთელი მსოფლიოდან შემოდის, ასევე უნდა დავაგემოვნო კიდეც. ზოგჯერ არც მჯერა, რომ ხელფასს მხოლოდ ტკბილეულის ჭამაში მიხდიან, — აღიარებს პოუპი. ასეთმა სამუშაომ, წესით, უნდა გაასუქოს ადამიანი, მაგრამ ბრიტანელი დეგუსტატორი მაინც ახერხებს ფორმაში ყოფნას. დღის განმავლობაში 30 ბისკვიტს მაინც სინჯავს, მაგრამ, სომელიეს მსგავსად, ლუკმას მთლიანად არ ყლაპავს. პოუპი თავს ნამცხვრისა და პეჩენიის გურუდ მიიჩნევს და არც სამსახურის დაკარგვის შიში აქვს — ეკონომიკურმა კრიზისმა მის სფეროზე გავლენა არ იქონია.

დაბერების საწინააღმდეგო საშუალებას მიაგნეს

აღმოჩენილია წამალი, რომელსაც სიბერის შეჩერება შეუძლია, — ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთეს რუსმა სპეციალისტებმა. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერმა მაქსიმ სკულაჩოვმა, კოლეგებთან ერთად, ახალი ანტიოქსიდანტი აღმოაჩინა, რომლის დახმარებითაც ადამიანი შეძლებს 120 წლამდე იცოცხლოს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ სწორედ ეს ნივთიერება ახდენს უშუალო გავლენას უჯრედების დაბერებაზე, ასევე ალცჰეიმერის დაავადებისა და ინფარქტის გამვითარებაზე. ამ მომენტისთვის ანტიოქსიდანტი გამოცდილია ცხოველებზე — შედეგად მათში დაფიქსირდა ორგანიზმის დაბერებასთან დაკავშირებული დაავადებების შემცირება. სწავლულები აღნიშნავენ, რომ კვლევები ჯერ კიდევ გრძელდება.

ყავა დიაბეტისგან დაგიცავთ

ყავის თაობაზე სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტმა ახალი დასკვნა გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ დღეში ოთხი ფინჯანი ყავა მეორე ტიპის დიაბეტის განვითარების ალბათობას ამცირებს. გამოკვლევამ, რომელშიც მონაწილეობა 17 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო და რომლის შედეგებიც მოგვიანებით დაადასტურა 8 ქვეყანაში კიდევ 455 ათას ადამიანზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა, აჩვენა — ფინჯანი ყავა დღეში 5-10%-ით ამცირებს დიაბეტის განვითარების რისკს და ეს ეფექტი უფრო ძლიერდება დღეში დალეული ყავის რაოდენობის მიხედვით. თუმცა, საგრძნობი შედეგის მისაღებად ორი ჭიქა ეს გამამხნევებელი სასმელია საჭირო. ოთხი ფინჯანი კი, მკვლევარების თქმით, რისკს 25%-ით ამცირებს. საინტერესოა ისიც, რომ ეს ეფექტი შენარჩუნდება უკოფეინო ყავის მიღების დროსაც, თუმცა, რატომ ხდება ასე, სწავლულებს ჯერ ვერ გაურკვევიათ.

მარტივი ტესტი ხანგრძლივობის დასადგენად

სიცოცხლის ხანგრძლიობის დადგენის უნიკალური ტესტი მოიფიქრეს ბრაზილიელმა სწავლულებმა. ის ძალიან მარტივია და მაქსიმალურად ზუსტი, — ამტკიცებენ სპეციალისტები. ავტორების თქმით, საჭიროა ადამიანმა, ხელების დახმარების გარეშე, გადააჯვარედინოს ფეხები და დაეშვას იატაკზე, მერე ამგვარადვე ადგეს. მეცნიერების თქმით, ასეთი ვარჯიშის მაქსიმალური შედეგი 10-ჯერ გამეორებაა. ის ადამიანები, ვინც სამ ქულაზე ნაკლებს მოაგროვებს (ანუ სამჯერაც ვერ მოახერხებენ ამ ილეთის შესრულებას), რისკის ზონაში იმყოფებიან — მათი ორგანიზმი სხვაზე ხუთჯერ სწრაფად კვდება. მათ კი, ვისი შედეგიც 7 და მეტი ქულა იქნება, ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება ელით. თავდაპირველად ეს ტესტი სპორტმენების მოქნილობის დასადგენად შეიმუშავეს, თუმცა, შემდეგ სწავლულებმა მისი ფუნქციის გაფართოება გადაწყვიტეს, რადგან კუნთების მასის ტონუსის შემოწმებას, შეუძლია, ბევრი რამ გვითხრას ადამიანი, ცხოვრების შესახებ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

4	2	1	3	9	6	5	8	7
9	8	6	5	7	4	2	3	1
7	5	3	1	8	2	4	9	6
2	3	8	9	6	1	7	5	4
5	7	9	4	2	3	1	6	8
6	1	4	8	5	7	3	2	9
1	4	2	6	3	9	8	7	5
8	6	7	2	1	5	9	4	3
3	9	5	7	4	8	6	1	2

სტანდარტი

6	2	4	1	5	3	9	8	7
8	1	9	7	6	4	5	3	2
5	7	3	2	9	8	6	4	1
2	3	1	8	7	6	4	9	5
9	5	8	4	3	2	1	7	6
4	6	7	5	1	9	3	2	8
7	9	6	3	8	1	2	5	4
1	4	5	9	2	7	8	6	3
3	8	2	6	4	5	7	1	9

რთული

3	7	6	4	5	9	8	2	1
1	4	5	3	2	8	9	7	6
2	8	9	1	7	6	5	3	4
9	6	4	2	3	1	7	5	8
7	5	2	9	8	4	6	1	3
8	3	1	7	6	5	4	9	2
6	2	3	5	4	7	1	8	9
5	1	8	6	9	2	3	4	7
4	9	7	8	1	3	2	6	5

ექსპერტი

3	7	2	4	5	6	1	9	8
1	8	6	3	2	9	7	5	4
9	5	4	8	1	7	6	2	3
2	6	7	1	9	8	3	4	5
8	4	9	7	3	5	2	6	1
5	1	3	2	6	4	9	8	7
7	3	8	9	4	2	5	1	6
6	2	1	5	8	3	4	7	9
4	9	5	6	7	1	8	3	2

მე-10 გვერდი: 1. მერინოსი; 2. ევრაზია; 3. იაპონია; 4. ოტია; 5. სტრაბონი; 6. ტოროლა; 7. არაქსი; 8. ონაგრი; 9. ტრიპტიქი; 10. ოტრანტო; 11. იტერბიუმი; 12. პიკი; 13. ორშაბათი; 14. ელდორადო; 15. უზი; 16. კარუსელი; 17. სვია; 18. ცისტიტი; 19. ოზონი; 20. ალიზი; 21. სკაიპი; 22. ფითრი; 23. მორზე; 24. ესაია; 25. ავდარი; 26. ტაიბეი; 27. ბაო; 28. ბიონსე; 29. სარაევო; 30. რიფსიმე; 31. „მეტალიკა“; 32. რამზესი; 33. ანბანი; 34. ფოიე; 35. გორდა; 36. ტემზა; 37. სტოა; 38. ბანდა; 39. ბუნება; 40. სოდა; 41. მანი; 42. ლიე; 43. ობი; 44. რვალი; 45. გირაო; 46. ტაი; 47. ალო; 48. სვე; 49. ოპოსუმი; 50. ომარი; 51. ტიუსო; 52. კორა; 53. ბადია; 54. აკრიბია; 55. საკი; 56. ელჩი; 57. სურდინა; 58. იოლდია; 59. რუი; 60. იქსი; 61. ინა.

მე-12 გვერდი: 1. კინტო; 2. ბამბა; 3. კინშასა; 4. ნიამორი; 5. ოდინი; 6. ბემოლი; 7. მემორიალი; 8. ალაზანი; 9. ანფასი; 10. მეფისტოფელი; 11. კაშალოტი; 12. ამიმია; 13. აშდოდი; 14. ავრალი; 15. ამოკი; 16. არესი; 17. რიკოშეტი; 18. აფიშა; 19. შიში; 20. დარი; 21. ბეილი; 22. ირა; 23. უაილერი; 24. ილოტი; 25. კულისიე; 26. რონალდუ; 27. დიკა; 28. ტროა; 29. მოდა; 30. რკო; 31. ბუი; 32. ატაკამა; 33. ფშა; 34. ანისული; 35. ლიტაო; 36. მაია; 37. რინიტი; 38. კუდუსუნი; 39. ბრიოში; 40. სიტე; 41. ფაი; 42. კარამელი; 43. ეტა; 44. ნეი; 45. ემალი; 46. ამაო; 47. ნიუ; 48. მელ; 49. იარალი; 50. სტარტერი; 51. სირ; 52. რეალია; 53. დანდი; 54. იუანი; 55. ჰიუ; 56. იკაო; 57. ალიმენტი; 58. ინია; 59. ედემი; 60. ნინია; 61. ნატრიუმი; 62. ტისა; 63. ჰონსიუ; 64. იაგრი; 65. ურიკა; 66. ტომი; 67. აბგა; 68. სარიდანი; 69. ეთანი; 70. ტაო; 71. ბუა; 72. გინესი; 73. ალილო; 74. სამურაი; 75. მიურიდი; 76. ლილა; 77. რძე; 78. ალჩუ; 79. სუ; 80. მახათი; 81. რახი; 82. სიამისენი; 83. ასი; 84. ედო; 85. ონილი; 86. მეი; 87. იერო.

1. ვისიმე რწმენებულების დამადასტურებელი დოკუმენტი
2. გამოჩენილი იტალიელი კინორეჟისორი
3. ჩაის დეგუსტატორი
4. ფიგურული სახაზავი
5. გონების უეცარი ხანმოკლე დაბინდვა
6. სკის შავი ცვილი
7. ქიმიური ელემენტი, ლიითონი
8. კაცი-ობობა
9. სოფელი ხაშურის რაიონში
10. მოტორიანი ნავი
11. თოთხმეტტაპიანი ლექსი
12. სკვითების მახვილი
13. ესპანეთის ტახტის მემკვიდრის ტიტული
14. თხების ჯოგი
15. კოვბოის ქამანდი
16. ბელგიური რევოლვერი
17. წინსართი, აღმნიშნავს „შემდგომს“
18. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
19. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
20. ზღაპრული ცხენი
21. სერენა უილიამსის დის სახელი
22. ოქროს ურდოს ერთ-ერთი სარდალი
23. ჭაობის მცენარე
24. ძროხის ნობათი
25. გეომეტრ. სხეული
26. საესტრადო წარმოდგენა
27. ესპერანტოს ვარიანტი
28. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
29. თვის შუა რიცხვები რომ. კალენდარში
30. აფრიკელი ჯუჯა
31. ახალბედა მატროსი
32. ჭრიჭინას ერთ-ერთი ბებია
33. პირველი პირის ნაცვალსახელი
34. იგივე ნისლი
35. ზევსის მერიქიფე
36. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
37. ფოსო მკლავის ტანთან შეერთების ადგილას
38. მაფიოზების დიდი ოჯახი
39. პარასკევას ღმერთი „სინიორ რობინზონში“
40. „სატელეფონო სიტყვა“
41. ელექტროდენის ძალის ერთეული
42. მადამ ბოვარის სახელი
43. დაშაქრული ნუშის გული
44. ქალაქი რუსეთში
45. იუდეის პროვინციის ცნობილი პრეფექტი
46. პატარძლის მაყარი ქალი
47. თანამედროვე კორეული საბრძ. ხელოვნება
48. ქსოვილის ვიწრო და ფერადი ნაჭერი
49. პიპინია ერისთავის ძაღლი
50. მუსიკალური გამის VI ნოტი
51. ღმერთების მთა ბერძნულ მითოლოგიაში
52. სინონიმი სიტყვისა „ხანდახან“
53. კოსმოდემიანსკაიას სახელი
54. სხვადასხვა საკრავზე შემსრ. მუსიკოსთა კოლექტივი
55. ზევსის დედა
56. მესაქონლე გლეხი მონღოლეთში
57. არაკეთილსმოვანება
58. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი
59. ავტომატური ელექტროხელსაწყო
60. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია
61. სოფელი ქედის რაიონში
62. მომღერალი ... ვიკულე
63. უსინათლოთა შრიფტის ავტორი
64. დიდი გარეული ფრინველი
65. ფრინველის ბინა
66. ქიმიური ელემენტის და ჟანგბადის ნაერთი
67. კოიკიშინ კარატეს შემქმნელი
68. გამოღრმავებული ადგილი კედელში
69. ჰოლანდიის სიმბოლოდ მიჩნეული ყვავილი
70. კარაატელი მწყემსების ჩასაბერი საკრავი
71. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
72. შეძახილი კავკასიური ცეკვების დროს
73. მცენარე, რომელსაც „სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ელიქსირს“ უწოდებენ
74. „... ჩვენი არსობისა“
75. იგივე მრწამსი
76. ფეხბურთელი ... შირერი
77. ღმერთ იაჰვეს შემცველი სიტყვა
78. ტოკიოს ძველი სახელწოდება
79. ბალახისაგან მომზადებული კერძი
80. პირადი მოხმარების საგნების სავაჭრო სახელი
81. სახოტბო ლექსი
82. იაპონური თეატრის სახეობა
83. ინგლის. ფართობის საზომი ერთეული
84. ლეგენდარული ქალაქი, რომელიც ჰომეროსმა „ილიადაში“ აღწერა
85. წინსართი, რო-მელსაც „საჰაეროს“ შესატყვისი მნიშვნელობა გააჩნია
86. ანტილოპას სახეობა
87. სუსტი ქარი, ნიავი

შოკოლადი ექსპერიმენტული გემოთი

ამომავალი მზის ქვეყანა მსოფლიოში განთქმულია სხვადასხვა გემოს შერწყმის ექსპერიმენტებით. წლის დასაწყისში ერთ-ერთმა იაპონურმა კომპანიამ კიდევ ერთხელ გააოცა ტკბილეულის მოყვარულები და შოკოლადის კანფეტი გამოუშვა ყველისა და პიცის არომატითა და გემოთი. თეთრი შოკოლადი მუქ ქაღალდშია გახვეული, რაც მისი შემადგენლობის უჩვეულობაზე კიდევ ერთხელ მიანიშნებს. ვინც უკვე დააგემოვნა ეს განსხვავებული ტკბილეული, ამბობს, რომ შოკოლადს ჩვეულებრივი ტკბილი გემო აქვს, ნაღების კონსისტენციაც და ასევე ყველისა და პიცის არომატი, გემოც დიდხანს რჩება პირში. აღსანიშნავია, რომ ასეთი შოკოლადის მირთმევის შემდეგ ადამიანს დიდხანს არც ტკბილი მოუნდება, არც პიცა და არც ყველი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.